www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 29 მაისი, 2009 წელი. №118 (2156) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

გაერო-ს კრიტიკა
A3



კორეული საფრთხე
A7



ნუ, ბატონო პრეზიდენტო!
A10



# მარიონეტული რღვევა

*აფხაზეთში არსებული შიდაპოლიტიკური დაძაბულობა სახელისუფლებო კრიზისში გადაიზარდა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა თანამდებობიდან გადადგა. ხაჯიმბა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ბაგაფშის პოლიტიკით უკმაყოფილებას ასახელებს. ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ოპოზიციაში გადადის და მომავალ არჩევნებზე პრეზიდენტობისთვის ბრძოლას აპირებს. სოხუმში აცხადებენ, რომ ბაგაფშის პრორუსული პოლიტიკით უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზრდება.*

დიმიტრი ავალიანი

სოხუმის მთავრობის ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, იგი არ გამორაცხავს, რომ **გადადგომის შემდეგ პოლიტიკით დაკავდეს.** ხაჯიმბას განცხადებით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი **ხელისუფლების ღრმა კრიზისი გახდა.**

ვიცე-პრეზიდენტის პოსტი რაულ ხაჯიმბამ 2004 წლის სკანდალური საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიკავა, რომელშიც ერთმანეთს მოსკოვის აშკარა ფავორიტი, საბჭოთა უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანი ხაჯიმბა და მაშინდელი ოპოზიციის ლიდერი სერგეი ბაგაფში დაუპირისპირდნენ. არჩევნების შედეგებზე მხარეები საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ - ბაგაფშიც და ხაჯიმბაც საკუთარ თავს არჩეულ პრეზიდენტს უწოდებდნენ. საბოლოოდ, მწვავე კრიზისი ისევ რუსეთის ჩარევამ დაარეგულირა - განმეორებით არჩევნებზე, კრემლის მითითებით, ბაგაფში და ხაჯიმბა პრეზიდენტობის და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატებად წარდგნენ. არჩევნების შემდეგ მათ შორის ძალაუფლებისთვის ფარული ბრძოლა გაიმართა, რომელშიც საბოლოოდ ბაგაფშმა გაიმარჯვა და საკვანძო თანამდებობებზე საკუთარი კანდიდატურები გაანაწილა.

თუმცა, დღემდე რაულ ხაჯიმბა პრეზიდენტს ღიად არ დაპირისპირებია. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ბაგაფშის პოლიტიკა მხოლოდ გადადგომის შემდეგ გააკრიტიკა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიციის ტაქტიკა და ინციდენტი პოლიციასთან

დათო გამისონია

*პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებს შორის საკუთრივ 26 მაისს განვითარებულმა მოვლენებმა უკმაყოფილება გამოიწვია. ეროვნული ფორუმის ლიდერები და ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი ირაკლი ალასანია ეროვნული სტადიონიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ მსვლელობას მხარს არ უჭერდნენ. გარდა ამისა, ეროვნული ფორუმი საპროტესტო აქციების საქართველოს რეგიონებში გაგრძელების მომხრეა, ხოლო სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კვლავ თბილისში განაგრძობენ სახელმწიფო ობიექტების პიკეტირებას.*

გუშინ 12:00 საათზე არასაპარლამენტო ოპოზიციის მხარდამჭერები, ოპოზიციის რამდენიმე ლიდერთან ერთად, სპორტის სასახლესთან შეიკრიბნენ და თბილისის მერიის შენობის მიმართულებით დაიძრნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე




ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

*გუბაზ სანიკიძე სამებისკენ მსვლელობას არ დაეთანხმა*

# პატრიარქის განცხადების არაერთგვაროვანი აღქმა

ვერიკო თევზაძე

საქართველოს საპატრიარქომ გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის განცხადება გაავრცელა.

**26 მაისს წმიდა სამების საკათედრო ტაძარში წარმოთქმულმა ქადაგებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგან მისი შინაარსი ხალხის ნაწილმა მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერ პოზიციად აღიქვა. ეკლესია არის ერის გამაერთიანებელი ძალა და იგი მოწოდებულია მშვიდობისათვის. გუშინწინდელი ჩვენი განცხადებაც გაკეთდა შექმნილი რთული სიტუაციის განმუხტვის მიზნით: ცნობილი იყო, რომ ხელისუფლება არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ხოლო მომიტინგეების მკვეთრი ქმედებების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლისღვრა. ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესიამ თავის თავზე აიღო მძიმე ტვირთი და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც ამ რეალურ საფრთხეს აარიდებდა ჩვენს ხალხს. ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამოიწურა. სიტუაცია კვლავ სერიოზულია და ფეთქებადსაშიში. ვფიქრობთ, ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას დაძაბულობის განმუხტვისათვის (იქნება ეს რიგგარეშე არჩევნები, მოლაპარაკებები თუ სხვა). შევთხოვ ღმერთს, ქმნას სასწაული კეთილი ჩვენთან", რომ უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით,"** - ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებას გამოეხმაურნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. ორივე მხარემ ერთხმად განაცხადა, რომ უწმინდესის მიმართვა ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა მხარეები აღნიშნული განცხადების ტექსტზე განსხვავებულ აქცენტებს აკეთებენ.

## ხელისუფლების შეფასება

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ გოკა გაბაშვილის შეფასებით, პატრიარქი პოლიტიკურ მხარეებს სწორი მოქმედებისაკენ მიუთითებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## ჯონ ტეფტმა ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში ჯონ ტეფტმა ხელისუფლებასა და ოპოზიციას დიალოგისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. როგორც ჯონ ტეფტმა ჟურნალისტებს განუცხადა, დიალოგს ალტერნატივა არ აქვს და მხარეები უნდა დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. "ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე და კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ აუცილებელია, მხარეები დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან. ორივე მხარეს მართებს დიალოგი. ამას ალტერნატივა არა აქვს," - განაცხადა ჯონ ტეფტმა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## უწმინდესმა საქართველო და ქართველი ერი დალოცა და გამთლიანება უსურვა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნატარესის ილია მეორის განცხადებით, "მწუხარების დროს ადამიანი სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს."

"მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულის და სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარების, - ეს არის ცვალებადობა და ამას ადამიანი არ უნდა შეუშინდეს. სიხარულის დროს არ უნდა მივეცეთ განცხრომას, მწუხარების დროს კი - სასოწარკვეთილებას. ღმერთი აერთიანებს და ეშმაკი ჰყოფს. ინებოს უფალმა, რომ გამთლიანდეს ქართველი ერი და ბედნიერი იყოს იგი," - ბრძანა პატრიარქმა ამაღლების დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას. ამასთან, უწმინდესმა საქართველო და ქართველი ერი კიდევ ერთხელ დალოცა და გამთლიანება და მშვიდობა უსურვა.

*პირველი*

## თავდაცვის ეროვნულ აკადემიას დაარსებიდან 16 წელი შეუსრულდა

თავდაცვის ეროვნულ აკადემიას დაარსებიდან 16 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი აკადემიის პირად შემადგენლობას თავდაცვის მინისტრმა ვასილ სიხარულიძემ პირადად მიულოცა. აკადემიაში გამართულ ღონისძიებას მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ჩაჩიბაია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი დავით ნაირაშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირებიც ესწრებოდნენ. ღონისძიება საზეიმო ვითარებაში ეროვნული აკადემიის ტერიტორიაზე გაიმართა. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი, პატივი მიაგეს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მებრძოლებს. ეროვნული აკადემიის პირად შემადგენლობას, ინსტრუქტორებსა და მსმენელებს თავდაცვის მინისტრმა ვასილ სიხარულიძემ მიმართა.

"თავდაცვის ეროვნული აკადემიის ფესვები ქართველი მხედართმთავრების ისტორიამდე მიდის. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ დღეს იმ ისტორიას ვაგრძელებთ, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ჰქვია. აკადემიის დაარსებიდან დღემდე სასწავლებელი ორი ათასზე მეტმა კურსანტმა დაამთავრა. ეს ოფიცრები დღესაც მსახურობენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მის განვითარებაში. აკადემიის კურსდამთავრებულებმა გმირულად იომეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ყველა ომში. ბევრი მათგანი დაიღუპა ამ ომში, საუკუნო იყოს მათი ხსოვნა," - განაცხადა სიხარულიძემ. მისი შეფასებით, ძლიერი ჯარის გარანტი მისი თანამედროვე სტანდარტებით ტრანსფორმაციაა, რომელიც სამხედრო განათლების ახალ სტანდარტებზე გადასვლას ითვალისწინებს. საქართველოს მინისტრის ბრძანებით, თავდაცვის უწყებაში უმწიკვლო სამსახურისთვის აკადემიის ოფიცრებს, სერჟანტებს, კაპრალებსა და სამოქალაქო პირებს უწყებრივი მედლები, საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. სამხედრო სასწავლებელმა თავდაცვის ეროვნული აკადემიის სტატუსი 2001 წლის 10 სექტემბერს მიიღო, ხოლო 2003 წლის 20 თებერვალს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ოპოზიციის ტაქტიკა და ინციდენტი პოლიციასთან

პირველი გვერდიდან

მანიფესტანტებმა ორი საათით გადაკეტეს მერიის შესასვლელი და შარტავას ქუჩა. ამას ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ავტომანქანებით მოძრავ რამდენიმე მოქალაქეს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოჰყვა.

**ვაპროტესტებთ იმ ხელისუფლების ბუნაგს, სადაც ჯერ კიდევ იკრიბებიან სააკაშვილის ხელისუფლების ნარჩენები,** - მომიტინგეებს სიტყვით მიმართა ახალი მემარჯვენეების წევრმა მამუკა კაციტაძემ. ამასთანავე, ოპოზიციის წარმომადგენლები აპროტესტებდნენ 26 მაისს ვითარების დაძაბვის მიზნით სამების საკათედრო ტაძარში თბილისის მერის გამოჩენას. **26 მაისის მოვლენების მაპროვოცირებელი იყო უგულავას მისვლა სამების საკათედრო ტაძარში. ხელისუფლების წარმომადგენლები სამებაში მას შემდეგ მივიდნენ, რაც ტაძარში ათასობით მომიტინგე იყო მისული,** - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის წევრმა დავით ბერძენიშვილმა.

მერიის შენობის პიკეტირებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრებსა და ეროვნული ფორუმის წარმომადგენლებს.

ორსაათიანი პიკეტირების შემდეგ, ოპოზიციის ლიდერების გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული საკნები აიღეს. ოპოზიციონერთა თქმით, ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, უნდა შეიცვალოს პროტესტის გამოხატვის მეთოდები.

გუშინ პარლამენტის შენობის წინ კვლავ 18:00 საათზე განახლდა მიტინგი. გუშინ რუსთაველის გამზირზე განთავსებულ სცენაზე ეროვნული ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე გამოჩნდა. **ეროვნული ფორუმი არსად წასულა და ხალხის გვერდით დგას. საერთო მიზანში ოპოზიცია ერთიანია, მათ ბრძოლის ტაქტიკა აქვთ განსხვავებული. ამიტომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს - თბილისი წავართვით სააკაშვილს და ახლა მთელი საქართველო უნდა წავართვათ! კეთილი უნდა ვინებოთ, ქალამნები ჩავიცვათ და სოფლებში და ქალაქებში ჩავიდეთ,** - მიმართა მომიტინგეებს გუბაზ სანიკიძემ.



ხატია ჭიჭაშვილის ფოტო

*აქცია მერიასთან*

საპროტესტო აქციაზე მისვლამდე გუბაზ სანიკიძემ პრესკონფერენცია გამართა სადაც აღნიშნა, რომ ეროვნული ფორუმი ორი მიზეზის გამო არ აპირებს საპროტესტო აქციების სხვა ორგანიზატორ პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მოქმედებას. მან ორი მიზეზი დაასახელა. კერძოდ, პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების ტაქტიკის შეუთანხმებლობა - ფორუმის ლიდერებმა პოლიტიკური ბრძოლის რეგიონებში გაგრძელება მოითხოვეს, ეს იდეა საპროტესტო აქციების სხვა ორგანიზატორებმაც მოიწონეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხზე ეროვნულმა ფორუმმა ჩამოყალიბებული და ზუსტი პასუხი ვერ მიიღო. გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერისგან განსხვავებით, ეროვნული ფორუმი და ალიანსი საქართველოსთვის ლიდერი ირაკლი ალასანია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე შეკრებილი მოქალაქეების სამების საკათედრო ტაძრისკენ დაძვრას. **მინდა გითხრათ, რომ როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა, მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებში ჩაერთოთ პატრიარქი, თუმცა პატრიარქი სხვაგვარად მოიქცა და ჩვენ სრულად ვეთანხმებით მას, რადგან 26 მაისს ცალმხრივი განცხადება ქვეყნისთვის ძალიან მძიმე შედეგით დამთავრდებოდა,** - აღნიშნა გუბაზ სანიკიძემ. გუშინდელ პრესკონფერენციაზე გუბაზ სანიკიძემ არასაპარლამენტო ოპოზიცის ამა თუ იმ ლიდერს სხვადასხვა თარიღების დათქმისა და ცრუ მოლოდინების შექმნის გამო უსაყვედურა. გუბაზ სანიკიძემ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებს გამართავს ალიანსი თავისუფლებისთვის ერთ-ერთ ლიდერ კოკო გამსახურდიასთან და ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილთან (თავის მხრივ, კოკო გამხახურდია აპირებს ახალი კოალიციის შექმნას, რომლის შემადგენლობაში არ იქნება გია მაისაშვილი). ამავე დროს, ფორუმი მჭიდრო თანამშრომლობას აპირებს ირაკლი ალასანიას ალიანსთანაც.

### ინციდენტი აქციაზე

საპროტესტო გამოსვლების დასრულების შემდეგ, გუშინ ფურცელაძის ქუჩაზე ინციდენტი მოხდა, რუსთაველის გამზირთან ახლოს მდებარე ქუჩაზე. შედეგად დაზარალდა ათზე მეტი ადამიანი. ისინი საავადმყოფოებში გადაიყვანეს. მოძრაობა 7 ნოემბრის წევრმა ჯაბა ჯიშკარიანმა განმარტა, თუ როგორ დაიწყო დაპირისპირება. მისი თქმით, **სოდ-ის და კუდ-ის თანამშრომლები ამოვიდნენ ფურცელაძის ქუჩიდან და საკნების დაზიანება დაიწყეს.** ფიზიკური დაპირისპირების გამო დროებით გადაიდო რუსთაველის გამზირზე დაგეგმილი მომღერალ უცნობის კონცერტი (ინციდენტის ამოწურვის შემდეგ უცნობმა რამდენიმე მომღერალთან ერთად გამართა კონცერტი). პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები. აქციაზე მისულმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ **შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს ასეთი ქმედებები არ შერჩება.**

ინციდენტის გამომწვევი მიზეზების შესახებ განსხვავებული პოზიცია აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ოფიციალური განცხადების მიხედვით, ოპოზიციის წევრებმა დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორი, რომელიც მიმდინარე პროცესს ვიდეოკამერით იღებდა. **ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ დაკავებული ოპერატორი ტელეფონით დაუკავშირდა პოლიციას, ხოლო ადგილზე მისული პოლიციის თანამშრომლები შეეცადნენ, დაკავებული თანამშრომლის გათავისუფლებას. ამ დროს სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს და პოლიციის სამი თანამშრომელი ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრეს. აღნიშნული შემთხვევის შესახებ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე,** - ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

გარდა ამისა, გუშინ მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების გამო დაშავდა ტელეკომპანია მაესტროს ოპერატორიც.

რუსთაველის გამზირზე შეხლა-შემოხლა მოხდა რუსთავი 2 -ის ოპერატორსა და მომიტინგეებს შორისაც. აქციის მონაწილეებმა მას დაპირისპირების გადაღება მოსთხოვეს, ხოლო რუსთავი 2 -ის ოპერატორის განცხადებით კი, მომიტინგეებმა მას პროფესიული მოვალეობის შესრულების საშუალება არ მისცეს.

# კოკოითის რეჟიმის არჩევნები

ნათია მსხილაძე

*მარიონეტული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება 31 მაისის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართება. 34 სადეპუტატო ადგილისთვის 4 პოლიტიკური პარტია იბრძოლებს: "ედინსტვო", "კომუნისტური პარტია", "სახალხო პატია" და "პარტია ფიდიბასტა" (მამული). ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სულ 88 საარჩევნო ოლქი გაიხსნება.*

ე.წ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბელა პლიევას განცხადებით, ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი საპარლამენტო არჩევნებისთვის ცხინვალში მსოფლიოს 10 ქვეყნიდან 50 დამკვირვებლის ჩასვლას ელოდება. **არჩევნების დროს კანონიერების დაცვას 10 ქვეყნის 50 დამკვირვებელი გააკონტროლებს. ამ მოვლენის გასაშუქებლად კი 100 რუსი და უცხოელი ჟურნალისტი ჩამოვა,** - განაცხადა პლიევამ.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თქმით, ცხინვალში საინფორმაციო ცენტრი საპარლამენტო არჩევნები - 2009 გაიხსნება. პრეზენტაციაში ედუარდ კოკოითი მიიღებს მონაწილეობას.

მოსკოვში ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბანი უკვე გაიხსნა. რუსული მედიასაშუალებების ინფორმაციით, საარჩევნო უბანზე 31 მაისს ხმის მიცემა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის იმ მოქალაქეებს შეეძლებათ, რომლებსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტები აქვთ. მათივე ცნობით, აღნიშნულ საარჩევნო უბანზე ამ დროისათვის რეგისტრაცია უკვე 250 ადამიანმა გაიარა.

საქართველოს ხელისუფლება 31 მაისს სამხრეთ ოსეთი დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს არალეგიტიმურად მიიჩნევს.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მარიონეტული რღვევა

პირველი გვერდიდან

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რუსეთთან გაფორმებული შეთანხმება საზღვრის დაცვის შესახებ, ასევე მოლაპარაკებები რკინიგზისა და აეროპორტის რუსეთისთვის გადაცემაზე და რუსეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების შეძენის უფლების მინიჭების გეგმები ბოლო დროს აფხაზური ოპოზიციის მხრიდან მწვავე კრიტიკის საგანი გახდა. ოპოზიციის ლიდერებმა რუსეთის პრეზიდენტს საგანგებო მიმართვაც გაუგზავნეს, რომელშიც აფხაზეთში შესაძლო ანტირუსული განწყობების ზრდაზე აფრთხილებდნენ და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიმართ პოლიტიკის შეცვლას სთხოვდნენ.

**თუ ოპოზიცია რთულ, მოუგვარებელ პრობლემებზე საუბრობს, ეს მისი უფლებაა,** - განაცხადა გადადგომის შემდეგ რაულ ხაჯიმბამ და ხელისუფლება **შიდა მტრების ძიებაში და უხეშ და უპასუხისმგებლო პროპაგანდაში** დაადანაშაულა, რაც საზოგადოებაში განხეთქილებას უწყობს ხელს.

ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ რუსეთთან საზღვრის დაცვის შესახებ გაფორმებული შეთანხმება ღიად უნდა ყოფილიყო განხილული. მან ბაგაფში ვიცე-პრეზიდენტის საკონსტიტუციო უფლებამოსილების შეზღუდვაშიც დაადანაშაულა, თუმცა, მისი თქმით, ამის გამო ბაგაფშთან **მკვეთრ კონფრონტაციაში შესვლას** მოერიდა.

ხაჯიმბამ ხელისუფლების კრიზისის მიზეზებად ბაგაფშისა და მისი გარემოცვის მეთოდები დაასახელა. მისი განცხადებით, ხელისუფლების ბოლო ქმედებები ამტკიცებს, რომ **რეჟიმი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავა და საზოგადოებას ანგარიშს არ გაუწევს.** ხაჯიმბამ სოხუმის რეჟიმი მოწინააღმდეგეებზე ზეწოლასა და დაშინებაშიც დაადანაშაულა.

თავად რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა არ გამორიცხა, რომ ხაჯიმბას გადადგომა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. **არ მგონია, მისი გადადგომა ხელისუფლებაში არსებულ ღრმა კრიზისზე მეტყველებდეს. საუბარია კონკრეტულ ადამიანზე, რომელიც, როგორც ჩანს, გუნდს ვერ შეეწყო,** - განაცხადა ბაგაფშმა.

მისი თქმით, **შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში დაუშვებელია სპეკულირება ისეთი საკითხებით, როგორიცაა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და რუსეთთან ინტეგრაცია. დაუშვებელია, რომ წინასაარჩევნო კამპანიამ ხელი შეუშალოს ჩვენი რესპუბლიკის აღდგენასა და განვითარებას.**

ეჭვები იმის შესახებ, რომ ხაჯიმბას ხელისუფლებიდან წასვლა მოსკოვის ზეწოლით მოხდა, აფხაზური ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს.

როგორც რუსული გამოცემა კომერსანტი აღნიშნავს, ხაჯიმბას გადადგომა მოწმობს, რომ აფხაზეთში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, სულ მცირე, სამი კანდიდატი გამოიკვეთა - ხაჯიმბა, ბაგაფში და ბიზნესმენი, ეკონომიკური აღორძინების პარტიის ლიდერი ბესლან ბუთბა.

**ამ არჩევნებს ბაგაფში ალბათ მოიგებს,** - აცხადებს კომერსანტთან საუბრისას დამოუკიდებელ გაზეთ ჩეგემსკაია პრავდას მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი, **- თუმცა, მომდევნო ხუთი წელი მისთვის ძალიან მძიმე იქნება. მისი პრომოსკოვური პოლიტიკით უკმაყოფილება სულ უფრო გაიზრდება. სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ უკმაყოფილებამ, ძნელი სათქმელია.**

# გაერო-ს კრიტიკა

გიორგი ასანიშვილი

27 მაისს გაერო-ს უშიშროების საბჭოში (თავმჯდომარე ქვეყანა - რუსეთი) გენერალური მდივნის მოხსენების გარშემო დახურული კონსულტაციები გაიმართა. ბან კი მუნის ანგარიშში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს ოპერაციის გაგრძელებისა და უსაფრთხოების ახალი რეჟიმის ელემენტების შესახებ. უსაფრთხოების ახალი რეჟიმი ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში ცეცხლის შეწყვეტის მკაცრ დაცვას და ძალის გამოუყენებლობას ითვალისწინებს. გაერო-ს გენერალური მდივანი იძლევა რეკომენდაციას, რომ შეიქმნას ცეცხლის შეწყვეტის 12-კილომეტრიანი უსაფრთხოების ორი ზონა, უსაფრთხოების ზონებიდან 12 კილომეტრზე კი - შეზღუდული შეიარაღების ზონები.

ამასთან, ბან კი მუნს მიაჩნია, რომ გაერო-ს მისიას უსაფრთხოების ახალი რეჟიმის დაცვის გაკონტროლების, ასევე ორივე მხარესთან კონტაქტის დამყარების საშუალება უნდა გაჩნდეს. კერძოდ, გაერო-ს მისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას, კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვას. გარდა ამისა, გაერო-ს შეფი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების პრობლემის მოგვარების საჭიროებაზე და დევნილების უსაფრთხო დაბრუნებისთვის პირობების შექმნის აუცილებლობაზეც საუბრობს.

## განცხადებები ნიუ-იორკში

ბან კი მუნის მიერ წარდგენილ ანგარიშს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა რუსეთი კმაყოფილებით შეხვდა

გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი ამტკიცებს, რომ გაერო-ს გენერალური მდივნის ბოლო მოხსენება ეჭვის ქვეშ არ აყენებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ახალ სტატუსს. ამასთან, ჩურკინის თქმით, მასში არის გარკვეული პუნქტებიც, რომლებიც რუსეთისთვის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის მიუღებელია.

**მოხსენებაში ზედმეტად არის გამახვილებული ყურადღება რეგიონში რუსი სამხედროების მოქმედებაზე, საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ჯარის ქმედებები კი არაადეკვატურად არის შეფასებული,"** - აცხადებს რუსეთის წარმომადგენელი.

როგორც რუსი დიპლომატი აღნიშნავს, მოსკოვი საქართველოს შეიარაღებაზე ემბარგოს დაწესების საკითხის დაყენებას აპირებს.

**ზოგიერთი დასავლური სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოზე მსგავსი გადაწყვეტილების მიღების იმედი არ გვაქვს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის დაყენება გარკვეულწილად შეაფერხებს იმ ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს სამხედრო პოტენციალის აღდგენას ემხრობიან,"** - მიიჩნევს ჩურკინი, რომლის განცხადებითაც, ბან კი მუნის ანგარიში განხილვისთვის კარგი საფუძველია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა რეკომენდაცია უცვლელად იქნება გათვალისწინებული რეზოლუციაში.



AFP ' 2009

გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიშზე კომენტარს ჩურკინის ქართველი კოლეგა ალექსანდრე ლომაიაც აკეთებს.

გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი რუსეთს საერთაშორისო საზოგადოების დაშანტაჟების მორიგ მცდელობაში ადანაშაულებს და ბან კი მუნის მოხსენებას უკან გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს..

**მიგვაჩნია, რომ გენერალური მდივნის ბოლო მოხსენება, რომელიც 18 მაისს გავრცელდა, მნიშვნელოვნად უკან გადადგმული ნაბიჯია. აღნიშნული მოხსენებით რუსული მხარე კიდევ ერთხელ შეეცადა, დაეშანტაჟებინა საერთაშორისო საზოგადოება. მომავალში არ უნდა იყოს დაშვებული საერთაშორისო საზოგადოების დაშანტაჟება. მოხსენებაში არის უამრავი ნეგატიური სვლა, ისევე როგორც პოზიტიური,** - აღნიშნავს ლომაია.

საქართველოს წარმომადგენლის თქმით, რუსეთს სურს, საქართველოში სამშვიდობო მისია იყოს სუსტი ან საერთოდ არ იყოს, როგორც ეს მოსკოვმა ეუთო-ს მისიასთან მიმართებაში გააკეთა.

**რუსული მხარე აგრძელებს პროპაგანდას, თითქოს ქართული მხარე ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ავტონომიურ საზღვრებთან შეიარაღებული ძალების მობილიზებას ახდენს. ამ ტყუილი პროპაგანდის არავის სჯერა, მათ შორის არც თავად ჩურკინს. ჩვენ გვაქვს მრავალი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ მიღებული არაერთი რეზოლუცია, რომლებშიც რუსეთის ქმედებები შეფასებულია, როგორც ეთნიკური ფაშიზმი საქართველოში. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები უამრავი ადამიანი ეთნიკური დისკრიმინაციისგან იტანჯება. დღესაც გრძელდება მკვლელობები, გატაცებები და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ჩამორთმევა,"** - აცხადებს ალექსანდრე ლომაია.

## ... და თბილისში

გაერო-ს უშიშროების საბჭოში ოთხშაბათს გამართულ დახურულ კონსულტაციებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც ეხმაურება.

**ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ შეხვედრაზე უშიშროების საბჭოს 14-მა წევრმა ცალსახად გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ,** - ნათქვამია საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებაში.

გაერო-ში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელ ვიტალი ჩურკინის მოსაზრებების შესახებ კი ვაშაძის უწყებაში განმარტავენ, რომ რუსი დიპლომატის გამოსვლაში ახალი არაფერია.

**რუსეთის ფედერაცია, დღიდან გაერო-ს დაარსებისა, ამ ორგანიზაციას იყენებს საკუთარი პროპაგანდის გასავრცელებლად და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. იგივე მოხდა გუშინაც, როდესაც გაერო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენლობამ კიდევ ერთხელ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს, საქართველო აგრძელებს შეიარაღებული ძალების მობილიზებას ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებთან. უკვე მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის არის ნათელი, რომ ეს მტკიცება აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. საქართველოში ევროკავშირის და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიებს მუდმივად აქვთ შესაძლებლობა, გადაამოწმონ, თუ რა ვითარებაა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე. უფრო მეტიც, 22 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამატებითი მემორანდუმი გააფორმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან, რითიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მხარის მიერ ტრანსპარენტულობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების პატივისცემას,"** - აღნიშნავენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ამ უწყების განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს სურს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე იხილოს გაერო-ს ძლიერი მისია, რომელსაც ექნება ძლიერი სამონიტორინგო და საპოლიციო ფუნქციები და შეძლებს წესრიგის, კანონის უზენაესობისა და მშვიდობის დამყარებას, აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვას და ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციას.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელ შოთა მალაშხიას აზრით კი, გაერო 15 ივნისს ტექნიკურ-პროცედურული რეზოლუციის მისაღებად ემზადება, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში გაერო-ს მისიას ვადას 4-5 თვით გაუხანგრძლივებს.

მალაშხია ცალსახად აცხადებს, რომ **"ქართული მხარე დაინტერესებულია არა ტექნიკური ხასიათის რეზოლუციის, არამედ ისეთი დოკუმენტის მიღებით, რომელშიც საუბარი იქნება აფხაზეთში გაერო-ს მისიის ფორმატის შეცვლაზე, რეგიონში დევნილების დაბრუნებაზე და შეფასება მიეცემა რუსეთის სამხედრო აგრესიას."**

როგორც ქართველი პარლამენტარი აღნიშნავს, გასული წლის მაისში გაერო-ს მიერ მიღებულ რეზოლუციაში ცალსახად ჩაიწერა, რომ აფხაზეთში გაერო-ს მისიის ფორმატი უნდა შეცვლილიყო, მომხდარიყო რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება და დევნილების დაბრუნება, დაბრუნების კონკრეტული გრაფიკი და სქემა კი ბან კი მუნს სექტემბერში წარმოედგინა.

**"ამის შემდეგ დაიწყო ომი და რუსეთის სამართლებრივი მდგომარეობა ძალიან გართულდა. ის ყველაფერი, რაზეც გაერო-ს შარშანდელ რეზოლუციაშია საუბარი, ბან კი მუნის ახალ მოხსენებაში ნახსენები არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ არც 15 ივნისის რეზოლუციაში აისახება,"** - დასძენს მალაშხია.

ბან კი მუნის ანგარიშის შესახებ შედარებით ფრთხილ და მოზომილ განცხადებებს აკეთებენ უცხოელი დიპლომატები. საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ჯონ ტეფტის თქმით, ვაშინგტონში უკვე სწავლობენ გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებას და შესაბამის ანალიზს უკეთებენ.

მისივე განცხადებით, ვიდრე არ დასრულდება დოკუმენტის ანალიზი, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება მართებული არ იქნება.

**ერთადერთი, შემიძლია აღვნიშნო ევროკავშირისა და ამერიკის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება, სადაც მკაფიოდ არის გამოხატული საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა,"** - აცხადებს ჯონ ტეფტი.

## "ექიმთა კავშირი" კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის აქციას გამართავს

დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია "ექიმთა კავშირი" წინააღმდეგ ბრძოლის კიბოს აქციას გამართავს. აქციაზე დარიგდება კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის სააგიტაციო ფლაერები. აქციის ორგანიზატორები რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასთან სააგიტაციო საუბრებს გამართავენ. "ექიმთა კავშირის" წარმომადგენელ თორნიკე ბიძინაშვილის განცხადებით, "თუ ადრე კიბოთი დაავადებულთა ასაკი იწყებოდა 50-60 წლიდან და ზევით, ახლა მაჩვენებელმა 40-45 წლამდე იკლო. როგორც მოგეხსენებათ, დაავადების გამომწვევი მიზეზი ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ მავნე ეკოლოგიური და სოციალური პირობები, გადაუმოწმებელი სასურსათო და საყოფაცხოვრებო პროდუქცია აშკარად ზრდის და ანვითარებს კიბოთი დაავადების ალბათობას, შემდეგ მოდის გენეტიკური ფონი, მიდრეკილება," - განაცხადა თორნიკე ბიძინაშვილმა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) პროგნოზით, თუ დღევანდელი მაჩვენებელი არ შეიცვალა, 2005-2015 წლებში მსოფლიოში კიბოთი 84 მლნ ადამიანი დაიღუპება. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლები საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, განუხრელად მატულობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## პოლონეთი საქართველოს ნატო-ს სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს

ვარშავა მხარს უჭერს უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას, საქართველოს კი ნატო-ს სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს. ეს განცხადება პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა გააკეთა. "ჩვენ ევროკავშირის გაფართოების მომხრენი ვართ. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერთ უკრაინის, ხორვატიისა და თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას და პოლონეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება და პოზიცია უცვლელია," - განაცხადა ტუსკმა ვარშავაში ევროპელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას და დასძინა, რომ პოლონეთი მხარს უჭერს და ხელს უწყობს ევროკავშირის გაფართოებას მასში ამ სამი ქვეყნის გაწევრიანების გზით. საქართველოზე საუბრისას კი პოლონეთის პრემიერი აღნიშნავს, რომ "საქართველო ნატო-სა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორია. პოლონეთი გადაჭრით უჭერს მხარს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ყველა ქართველი პოლიტიკოსი ამ ჩვენს განცხადებებს ენთუზიაზმით არ აღიქვამს," - აცხადებს პრემიერი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ევროინტეგრაციის კომიტეტი ითხოვს დოკუმენტს - "საქართველოს მთავრობის ძირითადი მიმართულებები 2010-2013 წლებისთვის"

პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის წევრები ითხოვენ, მთავრობამ მათ წერილობითი ფორმით მიაწოდოს დოკუმენტი "საქართველოს მთავრობის ძირითადი მიმართულებები 2010-2013 წლებისთვის". ეს მოთხოვნა ევროინტეგრაციის კომიტეტის წევრებმა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მას შემდეგ დააყენეს, რაც აღნიშნული დოკუმენტი დეპუტატებს ზეპირი ფორმით ფინანსთა მინისტრის მოადგილემ პაპუნა პეტრიაშვილმა გააცნო. პეტრიაშვილის განმარტებით, 2010-2013 წლებისთვის მთავრობის პრიორიტეტები უცვლელი რჩება და ამ დოკუმენტშიც, ისევე როგორც 2009 წლის მთავრობის სამოქმედო გეგმაში, ნათქვამია, რომ პრიორიტეტი არის სიღარიბესთან ბრძოლა, სოციალური საკითხების მოგვარება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რაც შეეხება ახალ დოკუმენტს, პეტრიაშვილის განმარტებით, 2006 წლის შემდეგ მთავრობის სამოქმედო გეგმა მტკიცდება ყოველ წელს, მაგრამ მთავრობის გრძელვადიანი გეგმა სამწლიანი ვადით დგება და შესაბამისად დღეს წარმოდგენილი ახალი გრძელვადიანი გეგმა 2010--2013 წლებში შემუშავდება. დეპუტატების თქმით, უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რომ ისინი აღნიშნულ დოკუმენტს წერილობითი ფორმით გაეცნონ და საკუთარი შენიშვნები მანამდე წარმოადგინონ, ვიდრე დოკუმენტი დამტკიცდება. დოკუმენტის დამტკიცება წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პატრიარქის განცხადების არაერთგვაროვანი აღქმა

პირველი გვერდიდან

ის მიგვითითებს სწორ სულისკვეთებაზე, სწორ მოქმედებაზე. ეს სწორი მოქმედება არის კონსოლიდაცია, დიალოგი, მოლაპარაკებები და, მათ შორის, არჩევნების გამოყენებაც იმისათვის, რომ რთული ვითარება განიმუხტოს. ამას ყველაფერს სჭირდება პოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთქიშპობის დასრულება და მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომა, - შენიშნავს გაბაშვილი.

უმრავლესობის წარმომადგენელი ვადამდელი არჩევნების ჩატარებასაც არ გამორიცხავს. მისი აზრით, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს დიალოგი ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე, პირველ რიგში კი - საარჩევნო კოდექსზე. **"როდესაც მოხდება შეთანხმება, შემდეგ შეიძლება საუბარი ვადამდელ არჩევნებზე,"** - აცხადებს გოკა გაბაშვილი.

ხელისუფლების გუნდის წევრი ნუგზარ წიკლაური ძირითად ყურადღებას ცივილიზებულ დიალოგზე ამახვილებს. მისი თქმით, პატრიარქმა სწორედ აქეთკენ მოუწოდა პოლიტიკურ ძალებს: **უპირველესია ცივილიზებული დიალოგის დაწყება და უწინარესად სწორედ ამისკენ მოგვიწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.**

პატრიარქის განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი რუსუდან კერვალიშვილიც გამოეხმაურა. **ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ, რომ შევასრულოთ პატრიარქის კურთხევა და გადაწყვეტილი ისე, როგორც ჩვენს ერს და ზერს ეკადრება,** - ამგვარი კომენტარი მისცა მედიის წარმომადგენლებს კერვალიშვილმა.



### საპარლამენტო ოპოზიციის შეფასება

საპარლამენტო ოპოზიცია ვადამდელი არჩევნების იდეას იწონებს და თანაც აკონკრეტებს, რომ საქმე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ეხება. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე გუშინ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაზე საუბრობდა. თარგამაძის განმარტებით, არჩევნებს წინ უნდა უძღოდეს სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნა.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის, ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიას თქმით, პატრიარქის განცხადებაში **დაბალანსებულია პასუხისმგებლობა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.** ბაღათურია აღნიშნავს, რომ ზუსტად ასეთი აქცენტები დაინახა პატრიარქის 26 მაისის განცხადებაში და იგი რომელიმე ძალის მხარდაჭერად არ აღუქვამს.

### არასაპარლამენტო ოპოზიციის შეფასება

არასაპარლამენტო ოპოზიცია აქტიურად გამოეხმაურა პატრიარქის მიმართვას და განაცხადა, რომ ქვეყნისთვის ყველაზე აქტუალური ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებია.

**საპატრიარქო ცდილობს ამ ქვეყანაში არსებული დაძაბულობის დარეგულირებას. დღევანდელი განცხადებაც ამას ადასტურებს,** - განაცხადა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა და ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა, **დაუჯერონ პატრიარქს.**

ერთიანი ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი გუბაზ სანიკიძე მიიჩნევს, რომ პატრიარქის 28 მაისის განცხადება უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული ეკლესიის რეკომენდაცია. სანიკიძე შენიშნავს, რომ თუ ამას ხელისუფლება არ გაითვალისწინებს, **შედეგი იქნება ლოგიკური.**

პარტია თავისუფლების ლიდერი კოკო გამსახურდია ხელისუფლებას შეახსენებს: **აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ დიალოგი უნდა იყოს დიალოგისთვის, არამედ მთავარი არის ამ დიალოგის შედეგი.** გამსახურდია განმარტავს, რომ ის ორიენტირებულია შედეგზე.

ლეიბორისტ გიორგი გუგავას ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლება საპატრიარქოს პოზიციას გაითვალისწინებს. **მათი პოლიტიკის ერთადერთი ამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფური ამბიციებია,** - განაცხადა გუშინ ლეიბორისტმა ოპოზიციონერმა.

პატრიარქის განცხადებას არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძეც გამოეხმაურა. გაჩეჩილაძე ხელისუფლებისგან ქმედით პოლიტიკას მოითხოვს და დასძენს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო ომის საშიშროება ძალაში რჩება.

სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციონერების მსგავსად, ლევან გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ პატრიარქის მიერ მოხსენიებულ არჩევნებში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები იგულისხმება.

# პროკრედიტ ბანკი ახალ, მრავალფუნქციურ სათაო ოფისს აშენებს

სოფო ჩიხლაძე

პროკრედიტ ბანკმა საქართველოში ახალი სათაო ოფისის შენობის მშენებლობა დაიწყო. ორ წელიწადში ალ. ყაზბეგის №21-ში ბანკის 7-სართულიანი შენობა უკვე დასრულებული იქნება.

ამ პროექტის შესახებ გუშინ სასტუმრო თბილისი მარიოტში გამართულ პრესკონფერენციაზე პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ პოტმა და პროკრედიტ ბანკის დირექტორმა საშა ტერნერმა ისაუბრეს. როგორც ბანკის ხელმძღვანელობა აცხადებს, ახალი შენობა სამ ფუნქციას შეითავსებს: სათაო ოფისის, სასწავლო ცენტრისა და ახალი ცენტრალური ფილიალის. თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობა - საკონფერენციო დარბაზებით, სათათბირო და სასწავლო ოთახებით - სამუშაო პროცესის მაქსიმალური ეფექტურობით წარმართვას უზრუნველყოფს. სივრცულ შვიდსართულიან ნაგებობას მინის სახურავი ექნება, შუაში მდებარე ატრიუმი კი, როგორც პროკრედიტ ბანკში აცხადებენ, მშვიდ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროს შექმნის. **საქართველოში ათწლიანი მოღვაწეობის შემდეგ პროკრედიტ ბანკს იცნობენ, როგორც პასუხისმგებლობის მატარებელ და გამჭვირვალე დასავლურ ბანკს. ამ წლების განმავლობაში ჩვენი ბანკი სტაბილურად იზრდებოდა, რის გამოც ჩვენი ამჟამინდელი სათაო ოფისის შენობის ფართი არასაკმარისი ხდებოდა ჩვენი კლიენტებისა და თანამშრომლების მზარდი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს ინვესტიცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენ განუხრელად ვახორციელებთ ჩვენს გრძელვადიან მიზნებს: მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით ხელს ვუწყობთ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და მომსახურებას მაღალხარისხიან საბანკო მომსახურებას ვთავაზობთ. ახალი ოფისის აგება არის ნიშანი იმისა, რომ ჩვენი აქციონერები საქართველოში აპირებენ დარჩენას. ჩვენ მომავალ წლებშიც ვგეგმავთ გაფართოებას და ახალი თანამშრომლების აყვანას... ვფიქრობ, დღეს არსებულ არასტაბილურ პირობებში ამ პროექტის წამოწყება საკმაოდ დამაიმედებელი მესიჯია ზოგადად საქართველოს მოსახლეობისა და ჩვენი როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი კლიენტებისათვის,** - აღნიშნა პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ პოტმა.






ახალი სათაო ოფისის მშენებლობის პროექტის მთლიანი ღირებულება 20 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ თანხაში შედის მიწის ნაკვეთის და სამშენებლო სამუშაოების ფასი. 4200 კვადრატული მეტრის მიწა კომპანიამ გასულ წელს 5.5 მილიონ დოლარად შეიძინა. ამ ტერიტორიაზე აგებული შენობის მოცულობა 12 000 კვადრატულ მეტრი იქნება. ახალი სათაო ოფისის პროექტის დაგეგმარება პროკრედიტ ბანკმა ერთი წლის წინათ დაიწყო, საძირკველი კი სამი კვირის წინ გაითხარა. ახალი ნაგებობა ბანკის სათაო ოფისის თანამშრომლებისთვის იქნება განკუთვნილი, კერძოდ ის 500 სამუშაო ადგილზე არის გათვალისწინებული. **ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას და ვცდილობთ, მათ სასიამოვნო და ეფექტური სამუშაო ატმოსფერო შევუქმნათ. ახალი შენობა ნათლად ასახავს ჩვენს კორპორაციულ ღირებულებებს: გამჭვირვალობას, ღია კომუნიკაციასა და პროფესიონალიზმს... ახალი სათაო ოფისის პირველ და მეორე სართულზე განლაგდება ცენტრალური ახალი ფილიალი, სადაც ჩვენი ყველა კლიენტის სურვილი და მოთხოვნა იქნება გათვალისწინებული, ასევე აქ განთავსდება დიდი მისაღები, რამდენიმე საკონფერენციო და სათათბირო ოთახი. მესამე სართულიდან მეექვსე სართულამდე იქნება სათაო ოფისის ადმინისტრაცია, მეშვიდე სართულზე კი ბანკის ტრენინგ ცენტრი,** - აცხადებს პროკრედიტ ბანკის დირექტორი საშა ტერნერი.

ამჟამად ბანკის სათაო ოფისი აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს, სადაც მას მრავალსართულიანი შენობაში 8 სართული უჭირავს, ახალი სათაო ოფისის აშენების შემდეგ აღმაშენებლის გამზირზე მხოლოდ პროკრედიტ ბანკის ფილიალი იქნება, რომელიც 2 სართულს დაიკავებს.

პროკრედიტ ბანკის ახალი სათაო ოფისი გერმანელმა არქიტექტორმა ანდრეი ნიქეშმა დააპროექტა. სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპის შესასრულებლად ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 50 კომპანია მონაწილეობდა. ტენდერში კომპანია ევრამ გაიმარჯვა, რომელიც მხოლოდ შენობის შავ კარკასს ააგებს. სხვა სამუშაოებისთვის კი ტენდერი მომავალში გამოცხადდება. რაც შეეხება თავად გერმანელ არქიტექტორს, მისი დიზაინით გერმანიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობაა აგებული. მათ შორის სკოლის, უნივერსიტეტის და სასამართლოს შენობები. ანდრეი ნიქეში უკვე ათ წელზე მეტია საქართველოში ცხოვრობს. **არქიტექტორის შერჩევისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მის საქმიანობას დაეკმაყოფილებინა როგორც გერმანული, ისე ქართული სამშენებლო სტანდარტები. სწორედ ამიტომაც შევაჩერეთ ყურადღება ანდრეი ნიქეშზე, ის არის წარმატებული გერმანელი არქიტექტორი, რომელიც უკვე დიდი ხანია საქართველოში ცხოვრობს,** - აღნიშნა 24 საათთან საუბრისას პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ პოტმა.

როგორც პროკრედიტ ბანკში აცხადებენ, თანამედროვე დიზაინის ახალი შენობა საზურთალოს რაიონის ლანდშაფტის ნაწილი იქნება. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე პატარა პარკიც გაშენდება.

# Amnesty International-ის მიმართვა რუსეთის პრეზიდენტს

*მოვუწოდებთ რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს, დაიცვას და უზრუნველყოს რუსეთში ადამიანის უფლებები, - ეს განცხადება საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ს ეკუთვნის, რომელიც, თავის ყოველწლიურ ანგარიშში წერს, რომ რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. ანგარიშში საუბარია რუსეთში მომხდარ მკვლელობებზე, საქართველო-რუსეთის ომსა და ჩეჩნეთში არსებულ მდგომარეობაზე.*

საერთაშორისო ორგანიზაცია თავის ანგარიშში რუსეთ-საქართველოს ომზე საუბრობს და მისი ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე აცხადებს, რომ აგვისტოს მოვლენების დროს, საქართველოში მყოფი რუსი სამხედროები ახორციელებდნენ თავდასხმებს საცხოვრებელ სახლებზე და მშვიდობიან მოსახლეობაზე.

Amnesty International-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციაში, სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები ხშირად არღვევენ ადამიანის უფლებებს, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი ქმედებები დაუსჯელი რჩება.

**"რუსეთის მრავალ რეგიონში უხეშად ირღვევა ადამიანების უფლება თავისუფალი შეკრებისა. ხელისუფლება კრძალავს დემონსტრაციების ჩატარებას, განსაკუთრებით ეს ეხება ოპოზიციის მომხრეების შეკრებებს. ამავე დროს არც მომიტინგეთა დაკავების შემთხვევები არის იშვიათობა,"** - ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტის მიხედვით, რუსეთში ასევე დაუსჯელი რჩება თავდასხმები სამოქალაქო აქტივისტებზე, ჟურნალისტებზე და ადვოკატებზე. ანგარიშის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ადვოკატ სტანისლავ მარკელოვისა და ნოვაია გაზეტას ჟურნალისტ ანა ბაბუროვას მკვლელობაზე, რომლებიც 2009 წლის იანვარში, მოსკოვის ცენტრში ქილერმა გამოასალმა სიცოცხლეს. მკვლელობა, რომელმაც როგორც რუსეთში, ასევე ჩეჩნეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია, ჯერ კიდევ გაუხსნელია.

იმაზე, რომ მოსკოვის ცენტრში, კრემლთან ახლოს მომხდარი მკვლელობა მართლაც შეკვეთილი იყო, ალარავინ დავობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური, გაძლიერებული ჯგუფები შექმნა მკვლელობის გასახსნელად და ქილერის საპოვნელად, ჯერჯერობით საქმესთან დაკავშირებით, არანაირი დეტალი არ არის ცნობილი. ერთადერთი, რაც გამოძიებას გააჩნია, მხოლოდ სათვალთვალო ვიდეოკამერების მიერ გადაღებული მასალაა, რომელზეც ნიღბიანი ქილერის მოქმედებაა ასახული.

საქმე ისაა, რომ მკვლელობამდე ერთი საათით ადრე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე სტანისლავ მარკელოვმა რუსული მართლმსაჯულების მისამართით მკაცრი განცხადებები გააკეთა. ადვოკატმა 18 წლის ჩეჩენი გოგონას ელზა კუნგაევას გატაცება-მკვლელობისთვის გასამართლებული ყოფილი რუსი პოლკოვნიკის იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლება გააპროტესტა და განაცხადა, რომ სასამართლომ მსჯავრდებული უკანონოდ გამოუშვა პატიმრობიდან. მძიმე ბრალდებით გასამართლებული იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე სასამართლომ გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ გარდაცვლილი გოგონას ოჯახის ადვოკატის სტანისლავ მარკელოვის საკასაციო სარჩელი არ განუხილავს.

Amnesty International-ის ანგარიშში კიდევ ერთი მოკლული ჟურნალიტის ანა პოლიტკოვსკაიას მკლელობის საქმეზეცაა ყურადღება გამახვილებული. ანგარიშში ნათქვამია, რომ გამოძიებამ ამ საქმესთან დაკავშირებით უპასუხოდ დატოვა ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვები - ვინ არის ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შემკვეთი და ვინ შემსრულებელი. განსასჯელები, რომლებსაც ნოვაია გაზეტას ჟურნალისტის მკვლელობისთვის გაასამართლეს, ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ უდანაშაულოდ ცნო.

Amnesty International-ი ასევე წერს, რომ მხოლოდ 2009 წელს, რასობრივ ნიადაგზე, რუსეთში უკვე მოკლულია 23 ადამიანი.

ორგანიზაცია საუბრობს, ხოდორკოვსკისა და ლებედევის სასამართლო პროცესზე და აცხადებს, რომ ეს სასამართლო კიდევ ერთი დამადასტურებელი მტკიცებულებაა იმისა, რომ რომ რუსეთში "სამართლიანი სამართალწარმოების უფლება დაკნინებულია".

რაც შეეხება ანგარიშის იმ ნაწილს სადაც საუბარია ჩეჩნეთზე Amnesty International-ი წერს:

**"მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულების შესახებ განცხადება უკვე გაკეთდა, იქ, როგორც ადრე, ახლაც ქრებიან ადამიანები. ასევე ადგილი აქვს ადამიანთა თვითნებური დაკავებისა და წამების ფაქტებს.**

# საპყრობილეების მონიტორინგის შედეგი

*საერთო და მკაცრი რეჟიმის გამიჯვნა, მისჯილი და მიუსჯელი პატიმრების განცალკევება, პატიმრების უზრუნველყოფა კანონით დადგენილი ნივთებით, სადგომების, კარცერების, სამზარეულოს, სასადილოსა და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გარემონტება, პაემნის ოთახში მაგიდისა და სკამების დამონტაჟება, საშხაპე ოთახის მოწყობა, დაწესებულების ტერიტორიაზე დეზინფექციის ჩატარება, ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება, დალაქით უზრუნველყოფა, სამრეცხაო ოთახის მოწყობა, საკარანტინე ოთახის გამოყოფა, - ეს ის პრობლემებია, რომლის გამოსწორებასაც სახალხო დამცველი სოზარ სუბარი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს სთხოვს.*

თებერვალ-მარტის თვეში ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ზუგდიდის N4 საპყრობილეში, ბათუმის N3 საპყრობილესა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგი ჩაატარეს. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, დაწესებულებათა ზოგადი საცხოვრებელი მდგომარეობა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები იმდენად გაუსაძლისია, რომ სახალხო დამცველი მათი გაუქმების მომხრეა.

**დაწესებულებათა დემონტაჟისა და ახალი დაწესებულებების მშენებლობამდე მათი სასწრაფო რემონტია აუცილებელი, რის გამოც, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს და გასაკეთებელ საქმეთა ნუსხა გაუგზავნა,** - ეს ინფორმაცია სახალხო დამცველის ოფისმა გაავრცელა.

სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ რეკომენდაციაში საუბარია იმაზე, რომ ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე და ყოველ ცალკეულ შენობაში გაუსაძლისი საცხოვრებელი და სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია.

**დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის ერთ ნაწილში ორი ტუალეტია, რაც საკმარისი არ არის, რადგან ეზოში გასასვლელი კარი, სადაც დამატებითი ტუალეტებია, ღამით იკეტება და მსჯავრდებულებს საპირფარეშოთი სარგებლობისთვის რიგში დგომა უწევთ. დაწესებულებას არა აქვს საშხაპე და მსჯავრდებულები კუსტარულად გაკეთებული წყლის გამაცხელებლით სარგებლობენ. არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა,** - წერს სახალხო დამცველი და იქვე მიუთითებს, რომ ამ დაწესებულებების საამანათო ოთახში დღის განმავლობაში მხოლოდ 15 ამანათის მიღებაა შესაძლებელი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების ინფორმაციით, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საპყრობილეებშიც, სადაც კვლავ აქტუალურია გადატვირთულობის პრობლემა.

**ზუგდიდის N4 საპყრობილის პირველ და მეორე სართულზე ანტისანიტარიაა, დენის სადენები გაშიშვლებულია. საკნებში ფანჯრები გარედან და შიგნიდან გისოსებშია და არც ერთ საკანში არ არის ჩასმული მინები; მათ მაგივრად ზოგან გაკრულია ცელოფანი ან ქსოვილი. ზოგ საკანს ელექტროქურით ათბობენ, ზოგიერთ საკანში - საერთოდ არ არის გათბობის არანაირი საშუალება. საკნებში არის ანტისანიტარია, ცვივა ბათქაში, განათება ხდება პატარა ზომის მბჟუტავი ნათურებით, ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას,** - ასეთი დასკვნა გაკეთდა საპყრობილი მონიტორინგის შემდეგ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების განცხადებით, ამ საპყრობილეში განთავსებულია არასრულწლოვანთა საკანი, რომელშიც წყლის ონკანი გაფუჭებულია და პატიმრები წყალს ნაჭრით აკავებენ.

**საკანი ძალიან ნესტიანია და ცუდი საერთო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობაა. ნათდება ერთი მბჟუტავი ნათურით და ფანჯარაზეც მუქი ფერის ნაჭერი იყო გაკრული. მინები არც მათ საკანშია,** - ამ და სხვა პრობლემებზე საუბრობს სოზარ სუბარი შაშკინისადმი გაგზავნილ რეკომენდაციაში და მინისტრისგან მათ გამოსწორებას ითხოვს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი ამოქმედდა

*იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრმა ფუნქციონირება დაიწყო. რეესტრი აერთიანებს კერძო ადვოკატებს, რომლებიც საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებას უწევენ.*

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ამოქმედების შემდეგ იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები უზრუნველყოფენ.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში ამ დროისთვის 120-ზე მეტი ადვოკატია დარეგისტრირებული. მათ უკვე ჩაუტარდათ საორიენტაციო ტრენინგები, რომელთა ფარგლებშიც მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურას, რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკას, საქმეში ჩართვისა და შრომის ანაზღაურების პროცედურას გაეცვნენ.

საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი: ფუნქციები და საქმიანობის პრინციპი" - პროექტის პრეზენტაცია იუსტიციის სამინიტროს იურიდიული დახმარების სამსახურისა და ფონდ ღია საზოგაოდება - საქართველოს" ინიციატივით რამდენიმე თვის წინ გაიმართა.

ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურასა და შრომის ანაზღაურების ოდენობებთან დაკავშირებული აქტის პროექტის განხილვა.

**ნებისმიერი კერძო ადვოკატი, ნების გამოვლენის შემთხვევაში, ჩაერთვება საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში. მათი ანაზღაურება, ვერ იქნება ისეთი, რასაც კერძო საქმეებზე იღებენ ჰონორარის სახით, თუმცა მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი ადვოკატობა პროფესიული ღირსების საკითხია,"** - განაცხადა პრეზენტაციაზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

იურიდიული დახმარების სამსახურის 10 ბიურო და 2 საკონსულტაციო ცენტრი კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის (ქუთაისი, ზესტაფონი), სამეგრელოს (ზუგდიდის, ფოთის), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის მეშვეობით იურიდიული დახმარების სამსახურმა მოიცვა ის რეგიონებიც, სადაც მანამდე უფასო საადვოკატო მომსახურება მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ყაჩაღური თავდასხმის საქმე გახსნილია

2008 წლის ივლისში, ოზურგეთის რაიონში "სახალხო ბანკის" საინკასაციო ავტომანქანაზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის საქმე გახსნილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გურიისა და სამეგრელოს რეგიონში მოქმედი შეიარაღებული ორგანიზებული დაჯგუფების ლიდერი გიორგი მჟავანაძე დააკავეს.

ნასაკირალის საავტომობილო გზაზე, სახალხო ბანკის საინკასაციო ავტომანქანაზე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ყაჩაღური თავდასხმისას, გამტაცებლებმა 3 900 ლარი და დაცვის თანამშრომელთა იარაღები გაიტაცეს.

აღნიშნულის გარდა, მჟავანაძე ასევე ეჭვმიტანილია 2009 წლის თებერვალში ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, ავტომანქანის უკანონოდ დაუფლებაში, 2009 წლის აპრილში ასევე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ოზურგეთის რაიონში სოფელ ცხემლისხიდში, სონია ჩერნიშოვის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში.

გიორგი მჟავანაძეს დაკავებისას აღმოაჩნდა "ნაგანის" და "მაკაროვის" სისტემის იარლები საბრძოლო ვაზნებით და ერთი ხელყუმბარა.

გამოძიება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრთა დადგენა-დაკავების მიზნითაც მიმდინარეობს.

გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო სსკ-ის 179-ე, 236-ე, 19-109-ე მუხლებით აწარმოებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოქალაქეებს უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 6 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან დაზარალებულ ყველა მოქალაქეს უფასო იურიდიულ დახმარებას სთავზობს.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, "იმ ათეულობით მოქალაქეს, რომელიც 6 მაისს დაზარალდა, ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოში წარმომადგენლობას სთავაზობს სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად".

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ორგანიზაციის წევრებმა მიმდინარე წლის 7 მაისს გავრცელებულ განცხადებაში დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და განმარტე, რომ პოლიციამ 6 მაისს პოლიციის სამმართველოსთან შეკრებილი მომიტინგეების დასაშლელად გამოიყენა საშუალებები, რომლის გამოყენების უფლებაც ოლიციის შესახებ"კანონის საფუძელზე არ ჰქონდა.

"მიუხედავად საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესისა, დღემდე უცნობია, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება პოლიციის მხრიდან კანონით გაუთვალისწინებელი საშუალებების გამოყენების ფაქტზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის" - განმარტავენ საიაში.

*პირველი*

## დიმიტრი შაშკინი ციხის მშენებლობაზე

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი გურიას სტუმრობდა. მინისტრმა გურიაში ციხის მშენებლობა მოინახულა.

როგორც სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების სამინისტროში აცხადებენ, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში სასჯელაღსრულების დაწესებულების მშენებლობა 2007 წელს დაიწყო, თუმცა საძირკვლის ჩასხმის შემდეგ რამდენიმე თვეში დროებით შეჩერდა. ამ ეტაპზე დაგეგმილია საამშენებლო სამუშაოების გაგრძელება.

ახალი დაწესებულება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება. კომპლექსში შევა საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის კორპუსები, ასევე სამედიცინო, ადმინისტრაციის და სამეურნეო შენობა-ნაგებობები.

დაწესებულების საცხოვრებელი ლიმიტი 3 500 იქნება, აქედან 2 000 ადგილი მსჯავრდებულზეა გათვლილი, 1 500 - საპყრობილის რეჟიმის მქონე პატიმარზე.

*პირველი*

## ოსმა სეპარატისტებმა ცხინვალში იარაღის საწყობი აღმოაჩინეს

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ცხინვალში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალების საწყობი აღმოაჩინა. ამის შესახებ ე.წ. ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი იუწყება. მისივე ცნობით, ოსმა სამართალდამცველებმა იარაღი ტიმირიაზევის ქუჩაზე მდებარე, ფატიმა მარგიევას სახლში იპოვეს.

"მარგიევას სახლში აღმოჩენილია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ყუმბარმტყორცნები, პისტოლეტი, დეტონატორები და სხვა ასაფეთქებელი საშუალებები. ასევე აღმოჩენილია გაზეთ პოზიციის" 150 ეგზემპლარი და ბეჭდვითი პროდუქცია, მათ შორის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციები, რომლებიც 2009 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა," - ნათქვამია ე.წ. ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. სეპარატისტებმა ფატიმა მარგიევას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო შენახვის მუხლით აღძრეს.

*მედიანიუსი*

## კობა ოთანაძეს ციხის საავადმყოფოში გადაიყვანენ

მუხროვანის ამბოხების ორგანიზებაში ბრალდებულ კობა ოთანაძეს ციხის საავადმყოფოში უახლოეს პერიოდში გადაიყვანენ. როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველი ონისე მებონია აცხადებს, ოთანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია და ის აბსოლუტურად თავისუფლად საუბრობს. შევძელი მასთან შესვლა და დალაპარაკება მხოლოდ გუშინ, მაგრამ ჩვენი საუბარი სოდ-ის თანამშრომლების თანდასწრებით შედგა," - აცხადებს ადვოკატი. მისივე განმარტებით, ოთანაძის პალატასთან კვლავ განაგრძობენ მორიგეობას სოდ-ის თანამშრომლები და სასჯელაღსრულების დაწესებულების ბადრაგი.

*პირველი*

## ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია

ავჭალაში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. როგორც თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციათა სამსახურში აცხადებენ, ანდრონიკაშვილის პირველ შესახვევში არსებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ხანძარი დაახლოებით 12:00 საათზე გაჩნდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა ცეცხლი დროულად ჩააქრეს. სახლში დაახლოებით 50 კვადრატულ მეტრ ფართობზე საოჯახო ინვენტარია დამწვარი. ხანძრის გამომწვევი მიზეზები ამ დროისთვის დგინდება.

*პირველი*

## იტალიის ციხეებს 50 ქართველი დატოვებს

იტალიაში საქართველოს ელჩის კოტე გაბაშვილის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში იტალიის ციხეებს 50 ქართველი დატოვებს. როგორც კოტე გაბაშვილმა განაცხადა, საქართველო-ევროკავშირის მორიგი შეთანხმების ფარგლებში, იტალიის პრეზიდენტი ჯორჯო ნაპოლიტანო ქართველების შეწყალებას მოაწერს ხელს. კოტე გაბაშვილის თქმითვე, საეჭვოა სამი ქართველის გათავისუფლება, რადგან მათ ბრალად მკვლელობა ედებათ. ელჩის ინფორმაციით, ქართველები მხოლოდ იმ პირობებით გათავისუფლდებიან, რომ ისინი დაუყოვნებლივ დატოვებენ იტალიის ტერიტორიას.

*მედიანიუსი*

## სპეცოპერაცია მექსიკაში

მექსიკის შტატ მიჩოაკანში სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად 27 მაღალჩინოსანი დააკავეს, მათგან 10 - ქალაქების მერია. ყველა მათგანი ნარკომაფიასთან და სხვა დანაშაულებრივ კლანებთან კავშირში არის ეჭვმიტანილი.

ზოგიერთი ბრალდებული გამოძიების გაგრძელების მიზნით მეხიკოში გადაიყვანეს. როგორც ცნობილია, სპეცოპერაციის მსვლელობისას გუბერნატორის ძმა, პოლიტიკოსი ჯულიო სეზარ გოდოიც დაიკითხა, თუმცა იგი მალევე გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ მიჩოაკანში განხორციელებული ოპერაცია კიდევ ერთი ეტაპია იმ მასშტაბურ ბრძოლაში ნარკოდილერების წინააღმდეგ, რომელიც 2006 წელს მექსიკის პრეზიდენტმა ფელიპე კალდერონმა გამოაცხადა. ამავე ბრძოლაში რეგულარული არმიიდან 45 ათასი სამხედრო მოსამსახურეა ჩართული. თუმცა მიუხედავად ამდენი ღონისძიებისა, ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები კვლავ არსებობს. 2008 წელს ნარკომაფიამ 7 ათასი ადამიანია გამოასალმა სიცოცხლეს, 2009 წელს კი მკვლელობის მაჩვენებელმა უკვე ათასს გადააჭარბა.

*მედიანიუსი*

# "ჯეკ მფატრავი - დახურული საქმე"

*დიდი ბრიტანეთის საუკუნის საიდუმლო, რომელიც სერიულ მკვლელ ჯეკ მფატრავს უკავშირდება, სკანდალით დასრულდა. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ, ისტორიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, არანაირი მანიაკი არ არსებობდა და ჯეკ მფატრავი სენსაციისთვის იყო შექმნილი.*

**"ჯეკ მფატრავი არ არსებობდა, ის ჟურნალისტების გამონაგონი აღმოჩნდა,"** - წერს გაზეთი The Telegraph-ი. სტატიის ავტორი ბრიტანელი ისტორიკოსის, პროფესორ ენდრიუ კუკის გამოკვლევებს ეყრდნობა. "ჯეკ მფატრავი - დახურული საქმე" - ასეთი სახელწოდება აქვს ნაშრომს, რომელიც პროფესორმა ხუთი წლის მუშაობისა და გამოკვლევების შემდეგ გამოსცა.

როგორც გაირკვა, ლონდონის პოლიციის არქივში აღმოჩენილი ახალი დოკუმენტების საშუალებით, პროფესორმა დაადგინა, რომ ჯეკ მფატრავის სახე რამდენიმე დამნაშავის "გაერთიანებით" ჩამოყალიბდა და შეიქმნა.

ისტორიკოსისა და პროფესორის ენდრიუ კუკის მიერ მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით, პირველ ორ დანაშაულს, რომელიც დღემდე ჯეკ მფატრავის სახელს უკავშირდება, მასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

საუბარია 1888 წელს მოკლულ ემა სმიტსა და მართა ტებრემზე. თითქმის ყველა ექსპერტი უკვე თანხმდება მოსაზრებას, რომ ამ ორი გოგონას მკვლელობასთან ჯეკ მფატრავს საერთო არაფერი აქვს.

პროფესორმა ენდრიუ კუკმა იმის დამტკიცება შეძლო, რომ ცნობილი წერილი, რომელიც თითქოს ჯეკ მფატრავს ეკუთვნის და რომელშიც ის საკუთარ დანაშაულებს აღიარებს, ყალბია.

როგორც პროფესორი ამტკიცებს, ეს წერილი სერიულ მკვლელს კი არა, The Star-ის ჟურნალისტ ფრედრიკ ბესტს ეკუთვნის. ისტორიკოსის მტკიცებითვე, ჟურნალისტმა სერიული მკვლელის სახელით დაწერილი წერილი ლონდონის საინფორმაციო სააგენტოში კონკრეტული მიზნით გაგზავნა.

**"ამით ჟურნალისტს სურდა გაემყარებინა საკუთარი ვერსია სერიული მკვლელის ჯეკ მფატრავის არსებობის შესახებ,"** - აცხადებს ენდრიუ კუკი. მისივე მტკიცებით, ჯეკ მფატრავის სისხლიანი დანაშაულების თაობაზე პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი ჟურნალ-გაზეთებს მაშინ დიდ მოგებას აძლევდა, რადგან სერიული მანიაკის შესახებ ატეხილი პანიკის დროს ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი კატასტროფულად გაიზარდა.



*კვარტალი, სადაც მკვლელობები ხდებოდა.*

**"მიუხედავად იმისა, რომ გაზეთების ტირაჟი დღითი დღე იზრდებოდა, ის მაინც არ იყო საკმარისი მანიაკის თაობაზე ახალი ინფორმაციის მიღების ყველა მსურველისთვის. ჯეკ მფატრავის თაობაზე პრესაში ატეხილმა აჟიოტაჟმა ის შედეგი გამოიღო, რომ დეტექტივები ტყუილ კვალს მისდევდნენ, რამაც სხვა, ნამდვილ მკვლელებს კიდევ უფრო გაუხსნა ხელ-ფეხი,"** - აცხადებს ენდრიუ კუკი.

ჯეკ მფატრავის სახელს 11 ქალის მკვლელობა უკავშირდება, რომლებიც 1888 წელს მოხდა.

არქივში აღმოჩენილია 1910 წელს ჩაწერილი ინტერვიუები, სადაც ყოფილი ექიმ- ექსპერტი პერსი კლარკი ირწმუნება, რომ 11 მკვლელობიდან მხოლოდ სამ შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთთან კავშირზე საუბარი. არქივში ასევე აღმოჩენილია უფროსი გამომძიებლის თომას არნოლდის ინტერვიუც, სადაც პენსიაზე გასული ყოფილი გამომძიებელი აცხადებს, რომ ჯეკ მფატრავის სახელთან დაკავშირებულ მკვლელობებს შორის კავშირის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები თავის დროზე არ არსებობდა.

ვერსია, იმის შესახებ, რომ ლეგენდარული მანიაკის სახელის უკან რამდენიმე მკვლელი იმალებოდა, ისტორიკოსებსა და კრიმინალისტებს შორის ადრეც არსებობდა. ამ ვერსიის თაობაზე ღიად პირველად ბრიტანელი დეტექტივი ტრევორ მარრიოტი ალაპარაკდა.

დეტექტივი აქცენტს აკეთებდა იმ ორ საზარელ მკვლელობაზე, რომლებიც თითქმის ერთდროულად, 10 წუთის შუალედში მოხდა. დეტექტივის ვერსიით, დამნაშავე, რომელმაც პირველი მკვლელობა ჩაიდინა, შეეცდებოდა კვალი დაეფარა, რასაც, დრო დაჭირდებოდა. დეტექტივი ტრევორ მარრიოტი ირწმუნებოდა, რომ ჯეკ მფატრავის სახელთან დაკავშირებული 10 წუთის შუალედში მომხდარი ორი მკვლელობა სხვადასხვა ადამიანის მიერ იყო ჩადენილი.



*ჯეკ მფატრავის ფოტორობოტი.*

თავის დროზე, ბრიტანულმა პოლიციამ ჯეკ მფატრავის სახელთან დაკავშირებული მკვლელობების საქმესთან დაკავშირებით 200 ადამიანი შეამოწმა და სავარაუდო ეჭვმიტანილთა 10-კაციანი სია შედგა. ამ სიაში აღმოჩნდნენ დოქტორ ფრენსის ტამბლეტი, დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილი - პრინცი ალბერტი, ჰერცოგი კლარნესი, მხატვარი უოლტერ სიკერტი და სხვები.

იყო ვარაუდი, რომ ლეგენდარული მანიაკი ჯეკ მფატრავი მედიცინაში კარგად ერკვეოდა. ამ ვერსიას მსხვერპლის სხეულზე სკალპერით მიყენებული პროფესიონალური ჭრილობებით ხსნიდნენ.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილი ჯორჯ ჩეპმენი იყო, რომელსაც სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მას სამი ცოლი ჰყავდა მოკლული. თუმცა, ჯორჯ ჩეპმენის ეჭვმიტანილთა სიიდან გამორიცხვის მიზეზი ის გახდა, რომ როგორც გაირკვა, ჩეპმენმა მეუღლეები საწამლავით გამოასალმა სიცოცხლეს. ჯეკ მფატრავი კი მსხვერპლს დანით უსწორდებოდა.

ბრიტანელი ისტორიკოსის, პროფესორ ენდრიუ კუკის საბოლოო დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, ჯეკ მფატრავი რეალურად არ არსებობდა და მისი პორტრეტი მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია, ცნობილმა ფსიქიატრიულმა კლინიკა "ბროდმურმა" საუკუნის განმავლობაში გასაიდუმლოებული სამედიცინო დოკუმენტაცია გამოაქვეყნა, რომელიც, კლინიკის თანამშრომლების თქმით, ლონდონელი სერიული მკვლელის, ჯეკ მფატრავის ბიოგრაფიულ დეტალებს შეიცავდა.

გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ლეგენდარული ჯეკ მფატრავის ნამდვილი სახელი და გვარი ტომას ჰეინ კატბუში იყო. სამედიცინო მონაცემებში იგი დახასიათებულია, როგორც "უცნაური, მოუსვენარი და სასტიკი."

1888 წელს, მაშინ, როცა ჯეკ მფატრავზე პირველი სკანდალი ატყდა, კატბუში ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა. 1891 წელს ახალგაზრდა კატბუში, საბოლოოდ, შეურაცხადად მიიჩნიეს და კლინიკა "ბროდმურში" სამკურნალოდ დააწვინეს, სადაც 1903 წლამდე მკურნალობის კურსს გადიოდა.

სამედიცინო ჩანაწერებში კატბუში დახასიათებულია როგორც "სერიოზულად დაავადებული," რომელიც ადამიანებისთვის საშიშროებას წარმოადგენდა, ადამიანთა დევნის მანიით იყო შეპყრობილი. სამედიცინო ჩანაწერებში ნთაქვამია, რომ კატბუში ფსიქიატრიულ კლინიკაშიც კი საშიში იყო. ექიმებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ კატბუშის მძიმე სულიერი ავადმყოფობის საფუძველი მისი გენეტიკა იყო.

თუმცა, მყარი მტკიცებულება, რომ კატბუში ჯეკ მფატრავია ამ დოკუმენტებში არ არსებობს. ექსპერტების მტკიცებით, ძირითადი არგუმენტი, რომ კატბუში ლეგენდარული მანიაკია, არის ის, რომ იმ დროს, როცა ლონდონი ჯეკ მფატრავის თავდასხმებმა ააწიოკა, კატბუში კლინიკაში არ იმყოფებოდა, მისი კლინიკაში გამოკეტვისთანავე კი სერიული მკვლელობები შეწყდა.

მეორე არგუმენტი ისაა, რომ კატბუში ცხოვრობდა კენინგტონში - იმ რაიონის სიახლოვეს, სადაც მკვლელობები ხდებოდა.

**"ლონდონის საშინელი დღეებიდან თითქმის 120 წელი გავიდა. სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი შანსი იმისა, რომ ჯეკ მფატრავის საქმე როდესმე გაიხსნას,"** - წერს გაზეთი.

ჯეკ მფატრავმა ბოლო მსხვერპლი 1888 წლის ნოემბერში მოკლა, რითაც 11-თვიანი სასტიკი მკვლელობების სერია დაასრულა.

# უხეში მიმართვის მსხვერპლი

რამდენიმე დღის წინ, სომხეთის ქალაქ გიუმრის ერთ-ერთ კლინიკაში სასტიკად ნაცემი 17 წლის ახალაგაზრდა მიიყვანეს, რომელიც რამდენიმე საათში რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტიგრან ტადევოსიანი სოციალურ საიტ "ოდნოკლასნიკების" საშუალებით გაკეთებული უხეში რეპლიკის მსხვერპლი გახდა.

უხეშად 17 წლის ახალგაზრდამ თანატოლ გოგონას მიმართა. გაბრაზებული გოგონა კი მას ამ მიმართვისთვის დაემუქრა, მეგობარ ოთხ ბიჭს შეუთანხმდა და შეურაცხმყოფელი მათ სასტიკად აცემინა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილებიდან ერთ-ერთი ახალგაზრდა პოლიციაში თავად გამოცხადდა აღიარებითი ჩვენებით. დანარჩენები კი მიიმალნენ.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები დანაშაულში მონაწილე ყველა ახაგაზრდას სასწრაფოდ დაკავებას კატეგორიულად მოითხოვენ და პოლიციას არაობიექტურობაში ადანაშაულებენ. გარდაცვლილის ახლობლები ირწმუნებიან, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო, პოლიციას ამ საქმის სრულფასოვანი გამოძიება არ სურს.

**"სამართალდამცველები გვარწმუნებენ, რომ გამოძიება სრულფასოვნად მიმდინარეობს და ყველა დამნაშავე შესაბამისად დაისჯება. არადა, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ დანაშაულში მონაწილეები საბუთებს ამზადებენ და ქვეყნის ფარგლებს გარეთ აპირებენ გამგზავრებას. ეს ინფორმაცია პოლიციასაც აქვს, თუმცა მათ დასაკავებლად არაფერს აკეთებს,"** - აცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები.

# გორბაჩოვი ისევ ერთიან სახელმწიფოს მისტირის

ივა შილაკაძე

*1989 წლის საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობის 20 წლისთავის გამო რუსეთში ბოლო დღეებში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. შესაბამისად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა კომუნისტური პარტიისა და ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი. მან მონაწილეობა მიიღო ამ თემისადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაშიც და ჩაატარა საკუთარი საკმაოდ ვრცელი პრეს-კონფერენციაც, რომელზეც ბევრ საკითხს შეეხო. ისაუბრა 20 წლის წინანდელ მოვლენებზეც და დღეს აქტუალურ თემებზეც, მათ შორის აღმოჩნდა საქართველოს პრობლემაც. საინტერესოა, რომ მიხეილ გორბაჩოვი, რომელიც რუსეთის ხელისუფლების კურსს აქამდე პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდა, ბოლო პერიოდში მას საკმაოდ აქტიურად აკრიტიკებს. შევეცდებით, მკითხველს მივაწოდოთ გორბაჩოვის აზრი ჩვენთვის საინტერესო თემებზე.*

## 1989 წლის არჩევნები

"[რუსეთის] **მთელი ათასწლიანი არსებობის განმავლობაში 1989 წელს პირველად ჩატარდა ნამდვილად თავისუფალი არჩევნები. მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როგორ გამოგვეყენებინა ადმინისტრაციული რესურსი. არჩევნები ნამდვილად დემოკრატიული იყო. არ ვიცი, კიდევ როდის იქნება ასე. ხალხმა იგრძნო, რომ თავისუფალი არჩევნების პირობებში მათ შეუძლიათ, მიაღწიონ იმას, რომ ქვეყნის სათავეში მათი ნდობით აღჭურვილი ადამიანები იდგნენ. გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ** (სხვა პარტია სად იყო?-ი.შ.), **არჩეულთა 84 პროცენტი კომუნისტი იყო. მაგრამ დამარცხდა 35 საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. ამ ხალხს კი ყველა ბერკეტი ხელთ ჰქონდა. მაშინდელი განცდილი შოკის საჩვენებლად ერთი ფაქტი გამოდგება. ტრადიციულად, პოლიტბიუროს სხდომის დაწყებისას ყველა იკრიბებოდა და რაღაცაზე მსჯელობდა. ბოლოს შედიოდა გენერალური მდივანი და ამბობდა - "ვიწყებთ მუშაობას". არჩევნების შედეგების გამოცხადების დღეს ისეთი ბობოქარი ვნებები იყო, რომ მე ვერ ვახერხებდი პოლიტბიუროს სხდომის გახსნას. როცა ბოლოს და ბოლოს მოვახერხეთ დაწყება, მე განვაცხადე: "გილოცავთ, ეს პირველი არჩევნებია გარდაქმნის პირობებში. შედეგები ასეთია - 84 პროცენტი კომუნისტია. პასუხად კი მოვისმინე: ეს რა კომუნისტები არიან! ხალხმა კომუნისტები აირჩია, მაგრამ გაირკვა, რომ ეს ის კომუნისტები არ იყვნენ. პოლიტიკური კატასტროფა იყო!"**

საერთოდ, გორბაჩოვს მიაჩნია, რომ რუსეთი დემოკრატიის გზაზე უკან მიდის და საარჩევნო სისტემამ კოლოსალური რევიზია განიცადა ცალკე აღებული პარტიისა და ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად. ეჭვი გამოთქვა, რომ "ხომ არ ხდება ისევ უკან, საბჭოთა დროში მიბრუნება, როცა არჩევნები ხელისუფლების მოქმედებების აუცილებელი მხარდაჭერის აქტი იყო."

## ბერლინის კედლის დაცემა

ჯერ კიდევ 1989 წელს სსრკ-ს და გფრ-ს ხელმძღვანელები ფიქრობდნენ, რომ გერმანის გაერთიანება, რის შესახებაც ხმამაღლა ლაპარაკი ცენტრალური ევროპის (მაშინ ამ ქვეყნებს სსრკ-ში აღმოსავლეთ ევროპას უწოდებდნენ) სახელმწიფოებში ხავერდოვან რევოლუციებთან ერთად დაიწყო, 21-ე საუკუნეში მოხდებოდა. გერმანიის სწრაფი გაერთიანება არც დასავლეთ ევროპაში სურდა ყველას. გორბაჩოვის სიტყვებით, ამ საქმის დამუხრუჭების მთავარი მომხრე საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი იყო, მაგრამ ისინიც მოსკოვს შეჰყურებდნენ ხელებში. თუმცა პროცესის დაწყების შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა და მისი დამუხრუჭება შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც გორბაჩოვმა აღნიშნა, პირველად ჯორჯ ბუშ უფროსთან მალტაზე შეხვედრისას ითქვა, რომ შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს მოწინააღმდეგეებად არ აღიქვამდნენ.

## "გე-კა-ჩე-პე"

გორბაჩოვმა აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა პარტიის რეფორმირება არჩევნებამდე არ მოახდინა. კომპარტია იმ დროისთვის იყო რაღაც კონგლომერატი, ერთგვარი "კრიშა", რომელშიც რამდენიმე მიმართულება არსებობდა. საკუთარ თავს და მაშინდელ მომხრეებს გორბაჩოვი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წევრებად მიიჩნევს. მისი მოწინააღმდეგეები, ე.წ. კონსერვატორები აქტიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს და გეგმებსაც აწყობდნენ. ისინი ცვლილებების პროცესს ამუხრუჭებდნენ, განსაკუთრებით დემოკრატიასთან მიმართებაში. მათ ხელს არ აძლევდა საჯაროობა და არჩევნები. დემოკრატიის გამოცდას ვერ გაუძლეს. აგვისტოს პუტჩის წინ პარტიის პლენუმზე გორბაჩოვის მომხრეთა 108-კაციანი ჯგუფი ჩამოყალიბდა, შემოდგომაზე დაგეგმილი იყო ყრილობა, სადაც ბევრი რამ გაირკვეოდა. შვებულებაში გასვლის წინ გორბაჩოვს 5-6-საათიანი შეხვედრა ჰქონია ელცინთან და ნაზარბაევთან, დაუგეგმავთ გორბაჩოვის პრეზიდენტობა, ნაზარბაევის პრემიერ-მინისტრობა და ძალოვანი მინისტრების შეცვლა. ამ საუბარს თურმე იწერდა კრიუჩკოვი (უშიშროების მინისტრი). რეაქციონერები მიხვდნენ, რომ ყველაფერს კარგავდნენ. მას შემდეგ, რაც ჩანაწერი იაზოვს (თავდაცვის მინისტრი) მისცეს, ეს უკანასკნელი ქუჩაში ჯარის გამოყვანაზე დაითანხმეს, ამით კი ხელი გაეხსნა ელცინს.

გორბაჩოვი საერთოდ ვერ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ელცინის მიმართ და ნანობს, რომ თავის დროზე სადმე უცხოეთში ელჩად არ "გაასახლა".

## საბჭოთა კავშირის დაშლა

**"მიმაჩნია, რომ კავშირის შენარჩუნება შეიძლებოდა და უნდა შეგვენარჩუნებინა,"** - აცხადებს გორბაჩოვი. იგი ფიქრობს, რომ მისი გარემოცვა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელები უპატიოსნო, ორმაგ თამაშს თამაშობდნენ. ასევე მის ზურგს უკან ჩაშალეს სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადების ე.წ. ნოვო-ოგარიოვოს პროცესი. მიღწეული შეთანხმების ხელმოწერაზე ბოლო მომენტში ელცინს დაუხევია უკან. **"რაც შეეხება აღორძინებას** [სსრკ-ს]**, დღეს ეს არარეალურია."** გორბაჩოვის აზრით, ყველაზე ადეკვატური პროექტი იყო რუსეთის, ბელარუსის, უკრაინისა და ყაზახეთის ბაზაზე (ეს სსრკ-ს პოტენციალის 80 პროცენტია) გაერთიანებული ეკონომიკური სივრცის შექმნა. ეს, მისი აზრით, დღესაც, ბელოვეჟის შემდეგ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით და სუვერენიტეტის დადასტურებით, თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ახლანდელი ლიდერების პირობებში არ გამოვა. **"პოლიტიკური ელიტა წინააღმდეგი იქნება... ხალხთან უნდა ვილაპარაკოთ. არჩევნები არსად არ ტარდება პატიოსნად. მე ამ არჩევნების არ მწამს."**

გორბაჩოვი არ ეთანხმება ბოლო დროს რუსეთში გავრცელებულ იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის "დალუპვის" ერთ-ერთი ფაქტორი დემოკრატიის შემოღება გახდა. ეს, მისი აზრით, ხალხის მოტყუების მცდელობაა.

## საქართველო

**"მე მიჭირს ამაზე ლაპარაკი, რადგან ხანდახან არ ვიცი, რომელი უფრო მიყვარს: რუსეთი თუ საქართველო. მე კავკასიიდან ვარ. ეს ყველაფერი გამსახურდიამ დაიწყო. ედუარდ ამბროსის ძეს, ჩემს მეგობარს, იმედი ჰქონდა, რომ გამოიყენებდა თავის გამოცდილებას, დაბრუნდებოდა სამშობლოში და როგორღაც დააწყნარებდა ხალხს. მას ეს არ გამოუვიდა.**

**რა მოხდა აგვისტოში? საქართველო გახდა აგრესიული ქვეყანა. ეს განსაცვიფრებელია, რადგან ყოველ ქართველს მეგობრობის თემაზე ასი სადღეგრძელოს შემოთავაზება შეუძლია. ხოლო რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს ნათელია. და ნახეთ, რამდენი ხალხი აღმოჩნდა თვით პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი, რომლებიც საქართველოს იარაღით ამარაგებდნენ. ამერიკელები იქ გარკვეულ ჯგუფებს აფინანსებენ.**

**მე, მიუხედავად ამისა, იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტ სარკოზის მონაწილეობით გაკვალულია ბილიკი, რომლითაც სიარული ღირს, რათა გამოვიდეთ ამ მძიმე სიტუაციიდან. ჩემი აზრით, როცა ოსები და აფხაზები ასეთ სერიოზულ ნაბიჯზე წავიდნენ - გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა - ამან დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, გაართულა სიტუაცია. დაახლოებით, ხუთი წლის წინათ მე ვთქვი, რომ საქართველოს ხელისუფლებას უკვე აღარ გამოუვა ამ საქმეში საკუთარი მოდელის განხორციელება და საჭიროა ფედერაციის შექმნა. მე იქ მლანძღავდნენ. ახლა კი არც ფედერაცია გამოდის. კოსოვო სერბეთის ნაწილად რომ დარჩენილიყო, უფრო ადვილი იქნებოდა. კოსოვომ ბიძგი მისცა, გზა აჩვენა. საჭიროა მშვიდობიანი მოლაპარაკებების ფორმატში დაბრუნება. თუმცა მე არ ვიცი, მომავალში რა იქნება."**

■■■

გორბაჩოვი ასევე შეეხო ევროპასთან რუსეთის ურთიერთობას, ინგუშეთის საკითხს (მხარი დაუჭირა პუტინის მიერ "შერისხულ" რუსლან აუშევის კანდიდატურას), თავის დამოკიდებულებას რუსეთის ხელისუფლებასთან. დადებითად ისაუბრა ბარაკ ობამასა და დმიტრი მედვედევზე, თუმცა მიაჩნია, რომ ამ უკანასკნელს მართვის გამოცდილება აკლია და ამ დანაკლისს ახლა ივსებს.

# კორეული საფრთხე

მარიკა იაშვილი

ჩრდილოეთ კორეა ომის დაწყებით იმუქრება. მის მიმართ ბოლო კვირის განმავლობაში გამოთქმული კრიტიკის გამო, ოფიციალური ფხენიანი მზად არის ომის დასაწყებად ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც "მის სუვერენიტეტს დაემუქრება." ამის გამო სამხრეთ კორეისა და აშშ-ს შეიარაღებული ძალები მაღალი საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში არიან გადაყვანილები. ცვლილებების მიზეზი გახდა ჩრდილოეთ კორეისი მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი აღარ აპირებენ მშვიდობის შესახებ შეთანხმების პირობების დაცვას, რომელიც 50 წლის წინ გაფორმდა და კორეულ ომს ბოლო მოუღო.

სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში სადაზვერვო ოპერაციების აქტივიზაციას აპირებენ.

**"ჩრდილოელებზე დაკვირვება ავიაციის უფრო მეტად გამოყენებისა და დამატებითი მობილიზაციის ხარჯზე გაძლიერდება,"** - განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა ვონ ტე ჩუემ.

სამხრეთ კორეაში დისლოცირებული ამერიკული კონტინგენტის სარდლობაში აცხადებენ, რომ მშვიდობა, რომელიც 50 წლის განმავლობაში ნახევრაკუნძულზე წონასწორობის შენარჩუნებს უწყობდა ხელს, ისევ ძალაში რჩება.



AFP ' 2009

ორშაბათს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის გამოცდა ჩაატარა, სამშაბათსა და ოთხშაბათს კი იაპონიის ზღვაში რამდენიმე ბალისტიკური რაკეტის საცდელი გაშვება განახორციელა.

ამ ქმედებებმა მსოფლიო საზოგადოების ერთსულოვნად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, გაერო-ს უშიშროების საბჭომ კი ფხენიანის წინააღმდეგ მკაცრ რეზოლუციაზე დაიწყო მუშაობა.

ჩრდილოელი მეზობლის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდისა და რაკეტების გაშვების საპასუხოდ, სამხრეთ კორეამ ოფიციალურად განაცხადა გაუვრცელებლობის უსაფრთხოების ინიციატივაში (PSI) გაერთიანების შესახებ. PSI არის ინიციატივა, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ მოქმედებს და საეჭვო ტვირთის გადამზიდველი ხომალდების გაჩხრეკის საშუალებას იძლევა.

სეულის ინიციატივას ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებელი რეაქცია მოყვა. ოფიციალური ფხენიანის განცხადებით, სამხრეთ კორეის PSI-ში გაერთიანება ომის გამოცხადებად იქნება განხილული.

**"ნებისმიერი მტრული მოქმედება ჩვენი გემებისადმი, მათ შორის მათი დაკავება და ჩხრეკა სუვერენულ სახელმწიფოზე მიუტევებელ თავდასხმად იქნება განხილული და ჩვენ მას დაუყოვნებლივ ვუპასუხებთ მძლავრი სამხედრო დარტყმით,"** - განაცხადა ჩრდილოეთ კორეის სარდლობის წამომადგენელმა.

ამავდროულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ იონბენში ურანის გამდიდრებაზე მომუშავე მთავარი ჩრდილოეთ კორეული ქარხანა ამოქმედდა. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა შეასრულა თავისი მუქარა პლუტონიუმის წარმოების განახლების შესახებ.

მსოფლიო დიპლომატიის ძალისხმევა ამჟამად იმისკენ არის მიმართული, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვული პრობლემისადმი მიძღვნილ ექვსმხრივ მოლაპარაკებებს დაუბრუნონ.

თუმცა ფხენიანი ადრე მიღწეულ ყველა შეთანხმებაზე უარს ამბობს და აცხადებს, რომ მზად არის, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ნებისმიერი სახის "მტრულ დამოკიდებულებას" საომარი მოქმედებებით გასცეს პასუხი.

# ჩავესი თავისივე რეკორდებს ხსნის

## მისი ტელეპროგრამის საიუბილეო გამოშვება ოთხ საათს გაგრძელდება

მარიკა იაშვილი

ვენესუელას ლიდერ უგო ჩავესის ყოველკვირეული საკვირაო ტელეპროგრამის - "ალო, პრეზიდენტო!" - სპეციალური გამოშვება, რომელიც მის 10 წლის იუბილეს ეძღვნება, პირდაპირ ეთერში ოთხ დღეს 28-დან 31 მაისამდე გაგრძელდება და ხანგრძლივობის ყველა წინა რეკორდს მოხსნის.

"ალო, პრეზიდენტო!" ყველაზე პოპულარული სამთავრობო გადაცემაა. ვენესუელას რადიოში ის პირველად 1999 წლის 23 მაისს გაჩნდა, ცოტა ხანში კი სახელმწიფო ტელეარხ VTV-ს ეთერში დაიწყო გასვლა - ყოველ კვირა დღეს დილის 11:00 საათზე. გადაცემის ერთი გამოშვება საშუალოდ ხუთ საათს გრძელდება, ხოლო ქრონომეტრაჟის ხანგრძლივობის მხრივ რეკორდი მაშინ დამყარდა, როდესაც "ალო, პრეზიდენტო!"-ს ერთი გამოშვება პირდაპირ ეთერში რვა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ყველაზე ხანგრძლივ გადაცემაში, ჩავესის გარდა, სხვა ლათინოამრიკელი ლიდერებიც მონაწილეობდნენ.

როგორც კვირის დასაწყისში თავად უგო ჩავესმა განაცხადა, საიუბილეო გადაცემაში მაყურებელი ბევრ სიურპრიზს იხილავს. **"მასში იქნება ყველაფერი: სიმღერები, კრიტიკა, მნიშვნელოვანი განცხადებები,"** - პირობა დადო ვენესუელის ლიდერმა.

ჩავესის თქმით, გადაცემა **"ხუთშაბათს დაიწყება, ჯერ არ არის ცნობილი სად და რომელ საათზე, გაგრძელდება პარასკევსა და შაბათს და დასრულდება კვირას საღამოს ან ღამე... გადაცემას, ტელენოველების მსგავსად, რამდენიმე სერია ექნება."**


AFP ' 2009

პრეზიდენტის გადაცემას მაღალი რეიტინგი აქვს. "XXI საუკუნის სოციალიზმის მშენებელი," როგორც თავის თავს ჩავესი მოიხსენიებს, პირდაპირ ეთერში ღარიბთა პრობლემებს აგვარებს, არცთუ იშვიათად აკეთებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ განცხადებებს და აკრიტიკებს ან აქებს მსოფლიო ლიდერთა პოზიციას. ჩავესის გარდა, გადაცემაში ხშირად მონაწილეობენ ლათინოამერიკელი ლიდერები და ვენესუელის მთავრობის მინისტრები, რომლებიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებზე პრეზიდენტის კითხვებს პასუხობენ.

"ალო პრეზინდეტო!"-ს 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ თავის ბოლო სტატიაში კუბური რევოლუციის ლიდერმა ფიდელ კასტრომ, რომელსაც აგრეთვე მიუღია მონაწილეობა გადაცემაში, მაღალი შეფასება მისცა ჩავესის ძალისხმევას, რომელიც ვენესუელელი ხალხის "ინფორმირებისა და აღზდისკენ" არის მიმართული და მას მსოფლიო პოლიტიკის "გამორჩეული" მაგალითი უწოდა. კასტროს გამოთვლით, ჩავესმა "ნაციის ინფორმირებისა და აღზრდისადმი მიძღვნილ გადაცემაში მონაწილეობას 1536 საათი ანუ სრული 64 დღე დაუთმო."

**"ამ გადაცემის გარეშე იმპერიალიზმი და ოლიგარქია, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე მათი თითქმის აბსოლუტური კონტროლით და ცრუ ჩანაფიქრებით, ვენესუელის რევოლუციას დაანგრევდნენ,"** - მიაჩნია კასტროს.

ამავე დროს, ოპოზიცია აღნიშნავს, რომ "ალო, პრეზიდენტო!"-ს ყველაზე ხანგრძლივი გამოშვება "გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიის" ფორუმს დამეთხვევა, რომელსაც ჩავესის მოწინააღმდეგეები კარაკასში 28-29 მაისს აწყობენ და რომელიც, მთავრობის აზრით, ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. თავის მხრივ, ოპოზიციონერები მიიჩნევენ, რომ ჩავესის ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟის მქონე გადაცემის მიზანია საზოგადოების ყურადღების გადატანა მომავალი დებატებიდან, რომელში მონაწილეობის მისაღებადაც ვენესუელაში ჩავესისა და XXI საუკუნის სოციალიზმის მხურვალე მოწინააღმდეგეები, ცნობილი პერუელი მწერალი მარიო ვარგას ლოსა და მისი შვილი ჩავიდნენ.

# "არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი"

ირანის 1979 წლის რევოლუციის დროს პოპულარულ ლოზუნგს "არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი" ქვეყნისთვის აქტუალურობა დღემდე არ დაუკარგავს. ამის შესახებ ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ირანული რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

**"ეს ლოზუნგი ნიშნავს, რომ ირანი უარყოფს საზოგადოების იმ მოდელებს, რომლებიც მის ტრადიციებსა და საფუძვლებს არ პასუხობს. ჩვენ დღესაც არ ვამბობთ უარს ამ პოზიციაზე, რადგან ეს მოდელები კაცთმოყვარეობისგან შორს დგას. ამის მაგალითი მსოფლიოში მიმდინარე მრავალრიცხოვანი ომები და კონფლიქტებია. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს თითქმის ყველა ერი, გამონაკლისის გარეშე, არსებული წყობით უკმაყოფილოა და ცვლილებების იმედიც არა აქვს. ახალ გზას, რომელიც ირანის ისლამისტურმა რევოლუციამ წარმოაჩინა, ადამიანურობისა და სამართლიანობისკენ მივყავართ,"** - აღნიშნა აჰმადინეჯადმა.


AFP ' 2009

*მაჰმუდ აჰმადინეჯადი*

ლოზუნგი "არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი" ირანში გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისში ხშირად ისმოდა. სპარსულ ენაზე ის გარითმულად ჟღერს და რევოლუციის პერიოდში ნიშნავდა, რომ ირანი არ წავიდოდა არც კაპიტალიზმის და არც სოციალიზმის გზით და განვითარების საკუთარ მოდელს აირჩევდა, რომელიც ისლამის პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული.

ამჟამად ირანში საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. საპრეზიდენტო არჩევნები 12 ივნისისთვის არის დანიშნული.

აჰმადინეჯადი მეორე ვადით პრეზიდენტობისთვის იყრის კენჭს და ამ დღეებში, სხვა კანდიდატების მსგავსად, აქტიურ სააგიტაციო საქმიანობას ეწევა და მიტინგებსა და პრესკონფერენციებში მონაწილეობს.

# თალიბები პაკისტანში ახალი თავდასხმებით იმუქრებიან

მარიკა იაშვილი

პაკისტანელმა თალიბებმა ლაჰორში პოლიციის შენობაზე მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღეს. თავდასხმის შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, 24 ადამიანი გარდაიცვალა.

თალიბთა ლიდერ ბაითულა მესჰუდას თანაშემწის განცხადებით, ტერაქტი იყო პასუხი ომზე, რომელსაც სამთავრობო ჯარები თალიბებთან სვატის ველზე აწარმოებენ.

თანაშემწე, რომელმაც თავი ჰაკიმულა მესჰუდად დაასახელა, დაიმუქრა, რომ ანალოგიური თავდასხმები პაკისტანის სხვა ქალაქებშიც არის დაგეგმილი.

პაკისტანის არმიაში აცხადებენ, რომ სვატში, ავღანეთის საზღვრის მახლობლად, თალიბებზე გამარჯვების მოპოვებას თითქმის ყოველდღიურად ახერხებენ.

პაკისტანის სამხედრო ძალების მეთაურთა თქმით, სამხედრო ოპერაციის შედეგად ბოლო ერთი თვის განმავლობაში 1000-ზე მეტი ბოევიკი გაანადგურეს, თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია.

**"ლაჰორში მომხდარი თავდასხმა არ არის შურისძიება ჩრდილოეთ და სამხრეთ ვაზირისტანის გამო,"** - განაცხადა ჰაკიმულა მესჰუდმა, რომელიც თალიბთა შენაერთებს პაკისტანის ორ რეგიონში ხელმძღვანელობს.

**"სვატის ველზე მიმდინარე სამხედრო ოპერაცია, რომლის გამოც ბევრი უდანაშაულო ადამიანი იღუპება და მოჯაჰედების დაბომბვა... აი, რისთვის ვიძიებთ შურს,"** - განაცხადა მან.

მესჰუდის სიტყვებით, ლაჰორის თავდასხმა საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან მზადდებოდა და სახელმწიფო დაწესებულებებზე ანალოგიური თავდასხმები სხვა ქალაქებშიც მოხდება, რის გამოც ამ ქალაქების მოსახლეობას საცხოვრებელების დატოვებას და გამგზავრებას ურჩევს.

**"ჩვენ გვიყვარს პაკისტანელი ხალხი და სწორედ ამ სიყვარულის გამო ლაჰორის, ისლამაბადის, რავალპინდის და მულთანის მცხოვრებლებს ვურჩევთ, თავიანთი ქალაქები დატოვონ, რადგან იქ უკვე აღნიშნულია სამიზნეები ისეთი თავდასხმებისთვის, როგორებიც ჯერ არასდროს მომხდარა,"** - განაცხადა მან.

თავდასხმა, რომლის შედეგადაც 200-მდე ადამიანი დაიჭრა, ოთხშაბათს ლაჰორის პოლიციის ცენტრალურ სამმართველოსა და უწყებათაშორისი გამოძიების შენობებთან მოხდა.

ბომბის ამოქმედებამდე, რომელიც ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული, რამდენიმე ადამიანმა პოლიციელებთან ორმხრივი სროლა გამართა.

# რევიუ



*უნიკალური არქიტექტურის მქონე სიდნეის ოპერის შენობა ამ დღეებში კიდევ უფრო დამშვენდა. ლეგენდარულმა მუსიკოსმა ბრაიან ინომ აქ არა მხოლოდ თავისი მუსიკა, არამედ ილუმინაციის ხელოვნებაც წარმოადგინა. ამ სანახაობით სიდნეის ხელოვნების ფესტივალი* **Vivid Sydney** *გაიხსნა, რომელშიც პრაქტიკულად ყველა სფეროს ხელოვანები მონაწილეობენ და მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებად მიიჩნევა.*

*თვალსაზრისი*

## მსურს გიამბოთ, ანუ რომელნი - ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა...

ამბობენ, ერთი ადამიანის უფლება იქ მთავრდება, საიდანაც მეორისა იზღუდებაო. ჰოდა, ახლა მე და ალბათ ჩემნაირნი სწორედ ასეთ სიტუაციაში ვართ. შეჭირვებული იმით, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მე, ერთი რიგითი ქართველი, სოფლელი და გლეხი, რითაც ძალიან ვამაყობ, გავბედავ და ჩემს მოსაზრებას მთელი ქართული საზოგადოების, ამერ-იმერის, ერისა და ბერის გასაგონად ვიტყვი.

მე, ქეთევან ჯერვალიძე, 1992 წლიდან ქართველი ელიტარელების , ამ ანტისახელმწიფოებრივი და პრორუსული ძალების მიერ, წლების განმავლობაში პლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად დევნილი და შევიწროებული, თავის დროზე ზვიად გამსახურდიას მომხრე გავხდი არა მარტო მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების გამო, არამედ იმიტომაც, რომ მან, ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, გამომდინარე ილიასეული პროგრამიდან და 9 აპრილის ისტორიული გამოცდილებიდან, უარი თქვა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებასთან ბოიკოტის პოლიტიკაზე და საკონსტიტუციო ცვლილებების გზითა და არჩევნებში მონაწილეობით ხალხს კანონმორჩილების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ზნეობრივი გმირობის უბადლო მაგალითი მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე მის გვერდით არავითარ შემთხვევაში არ დავდგებოდი. ეს იყო ჩვენი ქვეყნის განვითარების ბალტიისპირული მოდელი, რაც მაშინ მსოფლიო შეთანხმებით, რუსეთის უდიდესი ძალისხმევითა და რუსეთზე ჭკუადაკეტილ ქართველთა ხელით შეწყდა. თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ, რითი აღემატებიან დღევანდელი ოპოზიციის ლიდერები გამსახურდიას? აქვე აღვნიშნავ, რომ 1990 წლის 29 ოქტომბერს, არჩევნების პირველი ტურის მეორე დღეს, გამოვთქვი ჩემი შიში: არ გვაპატიებენ, ჩვენ მათ კლანს ( ელიტარელთა ) არ ვეკუთვნით-მეთქი. ოჯახის წევრებმა ლამის ჩამქოლეს ელიტარელებისადმი ესოდენი შეურაცხყოფის გამო.

ახლა, ამ გადასახედიდან, ვაანალიზებ რა საქართველოში მომხდარს, თანაც მიმდინარე პროცესებს, ვასკვნი: ამ ვითომც საყოველთაოდ აღიარებულმა ქართული კულტურის მოღვაწეებმა (აღვნიშნავ, რომ ტექნიკური დარგების წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა კანონიერ ხელისუფლებას უჭერდა მხარს, ჰუმანიტარული დარგებისა კი - რუსეთს, რაც ცალკე საკვლევი თემაა) შემოქმედებით (საჩვენებლად) მამულიშვილებმა და შინაგანად კინტოებმა XX ს-ის 60-იანი წლებიდან შექმნეს ფსევდო-ქართული კულტურა, უფრო ნათლად და ხატოვნად რომ ვთქვათ, მათ ერის ისტორიაში ითამაშეს იმ გაქსუებული მხარის როლი, რომელსაც თანამოძმენი სასაკლაოზე მიჰყავს, თვითონ კი განზე დგება. უფრო მეტიც, ბევრი იმათგან არათუ განზე გადგა, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა სადამსჯელო ოპერაციებში, იმ საჯარო მსხვერპლშეწირვის რიტუალურ აქტებში, რომელთა ხილვა ჰომეროსსა და ძველ ბერძენ ტრაგიკოსესაც კი შეაძრწუნებდათ. არადა, ეს უდიდესი ტრაგედია დღემდე საღვთო საქმის რანგშია აყვანილი.

იმაზე ფიქრი, რომ ევოპიდან ამერიკის კონტინენტზე გადაბარგებულმა სხვადასხვა ჯურის კრიმინალებმა, ავანტიურისტებმა, სექტანტებმა და საეჭვო ყოფაქცევის ადამიანებმა იგრძნეს პასუხისმგებლობა და ა.შ.შ.-ს უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო შეუქმნეს შთამომავლებს, ხოლო ჭკუა-გონებით დაყურსულმა და სიბრძნით გაძეძგილმა ქართველმა ელიტარელებმა , საკუთარი თავის არათუ ერ\ზე, ღმერთზე მაღლა დამყენებლებმა, ქვეყანა დაუნგრიეს შვილებს, სასოწარკვეთილებაში გაგდებს. გარკვეულწილად სწორედ ამ სასოწარკვეთამ დაბადა ინდიფერენტიზმი. შემოქმედსა და ქმნილებას შორის დისტანცირებამ, სიტყვასა და საქმეს შორის უფსკრულმა, რასაც ერი ქართველ კლასიკოსთაგან ჩვეული არ იყო, ქართველი კაცი გაუუცხოვა საკუთარ კულტურას. განსაკუთრებით დიდი დარტყმა ქართულმა მწერლობამ მიიღო. აბსოლუტური დაინტერესების ადგილი ბუნებრივად დაიკავა აბსოლუტურმა დაუინტერესებლობამ. ელიტარელთა მიერ აყვავებული ქვეყნიდან ხალხმა, პირველად ეთნიკურმა ქართველებმა, მასობრივად დაიწყეს დედაწულიანად აყრა. პირადად მე, არ წავედი შეგნებულად ორი მიზეზით: 1. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ერთგულება და თავგანწირვა მათ გვერდით დგომას მავალებდა, 2. ვამბობდი: ამ ნარკომანბოზქურდმკვლელებს სამშობლო როგორ დავუტოვო-მეთქი (ეს უვრცელესი კომპოზიტი ჩემი უკიდეგანო ტანჯვის პირმშოა), ზოგმა კი ქართველ ელიტარელთა ყურებას შეგნებულად არჩია გადამთიელთა სველი წერტილების ხეხვა, ზოგმაც თავისი პროტესტი საპატრიარქოს პოზიციაზე - გაიმარჯვებს ძლიერი (რაც მაშინ პრორუსულ-კრიმინალური ძალებისადმი ოფიციალურ მხარდაჭეად იყო აღქმული და ასეც იყო სინამდვილეში), სხვა აღმსარებლობაში გადასვლით გამოხატა. მხოლოდ პურსა და ზეთზე ამ საკითხის დაყვანა თავის მოტყუება და მეტი არაფერი...

გაგრძელება A11 გვერდზე

კომენტარები მთავარზე



## "გერმანია მართლაც იუბერ ალლეს..." ბროდსკი

ლაშა ბუღაძე

გერმანიაში გახლდით...

იქიდან ერთადერთი შეკითხვა ჩამოვიყოლე:

რა არის ის მთავარი, რაც ამ ერს და ქვეყანას ჩვენი ერისგან და ქვეყნისგან განასხვავებს?

დისციპლინირებულობა? - რასაკვირველია, მაგრამ არა მხოლოდ ეს.

რაციონალიზმი? - არც ეს. კიდევ არის რაღაც.

მოწესრიგებულობა? - ესეც არა.

სუფთა ქუჩები?

უპასუხისმგებელ ადამიანთა თვალშისაცემი სიმცირე?

ქერა თმა?

პუნქტუალურობა?

სიმდიდრე?

შრომისმოყვარეობა?

სიბეჯითე?

განათლებულობა?

დროულად, წამი წამზე მოსული ავტობუსები და მატარებლები?

რიჰარდ ვაგნერი?

ერთდღიანი საპროტესტო აქციები?

ბებერი გიუნთერ გრასი?

ანალიზის უნარი?

შეცდომების აღიარების ძალა?

წიგნების მაღაზიათა სიუხვე?

კორუმპირებულ ჩინოვნიკთა დევნის სურვილი?

კორუმპირებულ ჩინოვნიკთა ფაქტობრივი არარსებობა?

თვალშისაცემი მუსიკალურობა?

ინგლისურის ცოდნა?

შეფარული რელიგიურობა?

სოსისები და ლუდი?

ბერლინის კინოფესტივალი?

BERLINER PHILARMONIKER-ი და ფონ კარაიანის აჩრდილი?

აღმოსავლეთ ბერლინის პოსტსოციალისტური ეგზოტიკა?

ლუდვიგის ბავარიული სასახლეები?

გიოთე უნდ შილლა?

ორი ომის კომპლექსი?

ომში გამარჯვების შიში?

თბილისზე ხუთჯერ იაფი ბერლინი?

ნეფერტიტის თავი?

მასიური კერძები?

ლუთერი?

ვეებერთელა ბაღები?

არა! მხოლოდ ეს - არა...

მთავარი განსხვავება - სიჩუმეა. დიდი გერმანული სიჩუმე!

გერმანიაში სიჩუმეა. სიჩუმეა ბერლინში, სიჩუმეა მიუნხენში, სიჩუმეა ფრანკფურტში, სიჩუმეა ბონში, სიჩუმეა ჰამბურგში, სიჩუმეა დრეზდენში... ყველგან სიჩუმეა!

გერმანელი ერი ხმადაბლა საუბრობს.

ხმაურმა ორი ომი მოუტანა ამ ერს...

მათი ბედნიერების საიდუმლო კი სიჩუმეშია.

# 24 საათი პიკასოს გამოფენის გახსნამდე

სოფო კილასონია

**ადგილი - სიღმაღი**
**დრო - 15.00**
**მიზეზი - პაბლო პიკასო**

ამის მსგავსი ჩანაწერი ალბათ დღეს ჩემსავით ბევრს აქვს სატელეფონო დღიურში გაკეთებული, ანდა სულაც ტრადიციული ფორმის დღიურში. ვინც სიღნაღში ვერ წამოვა, ის 28 ივნისიდან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში იხილავს გრაფიკოსს პაბლო პიკასოს. მაგრამ სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ თუნდაც გრაფიკებში უნივერსალური შესაძლებლობების მხატვარს იოლად ამოვიცნობთ. მაგრამ ვიცი, რომ ამ ეჭვების გარდა ისევ ის ძველი ეჭვები შემაწუხებენ. ისინი, რომლებიც მაფორიაქებდნენ მაშინ, როცა პირველად უნდა მეხილა პიკასოს მხატვრობა ორიგინალში - გავყვები და მივაგნებ თუ არა ამ ონავარი ხელოვანის თამაშის ლაბირინთებსა და ხაფანგებს - ანუ დეტალებს? დეტალებს იმიტომ, რომ ხელოვანთა გენიალურობა უმეტესად დეტალებში ვლინდება. ამ დეტალებს კი ყურება არ ყოფნის, ხედვა სჭირდება.



გუშინ საღამოს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საგანგებო პრეს-კონფერენცია გაიმართა. პიკასოს ექსპოზიცია უკვე საქართველოშია და შაბათს სიღნაღის მუზეუმში გამოფენაც გაიხსნება. მედიასთან შეხვედრას მართავდნენ: ეროვნული მუზეუმის დირექტორი - დავით ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - დავით ცხადაძე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში - ერიკ ფურნიე, პროექტის პარტნიორის რესპუბლიკა ბანკის ხელმძღვანელი - ჟილბერ ი და ერიკ ჟანტი - იონის დეპარტამენტის წარმომადგენელი. ამ დეპარტამენტმა ეროვნულ მუზეუმთან ერთად, თითქმის შეუძლებელი შეძლო რათა დიდი ხნის წინ აღებული პასუხისმგებლობა აღესრულებინა და პიკასოს გამოფენა საქართველოში, შიდა არეულობის და რუსეთთან ფაქტობრივად მიმდინარე ომის პირობებში, ჩამოეტანა.

ის, თუ რაში მდგომარეობს პროექტი და რა გველის მომავალი სამი თვე პიკასოს გამოფენით ქართველებს, ამაზე ერთხელ უკვე წაიკითხა ჩვენი გაზეთის მკითხველმა (წინა ნომერში), ამის შესახებ კიდევ არაერთ სტატიას გაეცნობით, თუმცა გამოფენის პროლოგად გუშინ ეროვნულ მუზეუმში რამდენიმე კომენტარი კიდევ ითქვა.

**დავით ლორთქიფანიძე:** აღნიშნული პროექტი იმედისმომცემია, რადგან საშუალება მოგვეცა საზოგადოებას მაღალი დონის და ხარისხის ხელოვნება წარვუდგინოთ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა ამ პროექტის ფარგლებში. პროექტში რამოდენიმე კერძო კომპანია ჩაერთო, ეს კი მოწმობს მათ ელიტურობაზე, რადგან მიუხედავად რთული სიტუაციისა კულტურას გვერდით უდგანან.

**ერიკ ფურნიე:** საქართველო ურთულეს სიტუაციაში იმყოფება ამ მხრივ პიკასოს გამოფენა უმნიშვნელოვანესია. იონის დეპარტამენტმა ძალღონე არ დაიშურა, რომ ეს პროექტი არ შეჩერებულიყო. მადლობას ვუხდით საქართველოს კულტურის სამინისტროს, რადგან მათმა გვერდით დგომამ ბევრი რამე განაპირობა.

**დავით ცხადაძე:** მივესალმებით ეროვნული მუზეუმის მიერ ორგანიზებულ გამოფენას. 2009 წელი პიკასოსს წელია და ჩვენი ქვეყანა მეოცე საუკუნის გენიალური მხატვრის გამოფენას აწყობს.

**ჟილბერ ი :** გვიხარია რომ ეს თანამშრომლობა წარმატებით შედგა და მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მომავალშიც სიამოვნებით დავაფინანსებთ ფრანგულ კულტურასთან დაკავშირებულ პროექტებს.

გამოფენაზე პიკასო საქართველოში 34 ლინოგრავიურა იქნება ექსპონირებული, რომელთა უმეტესობა 1962 წელს არის შესრულებული. ასევე ვიხილავთ XX საუკუნის 30-იან წლებში შექმნილ 3 ოფორტსა და 3 გრაფიკას.

სასიხარულო და მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენებს ერთვის საგანმანათლებლო ლექციების კურსი ყველა ასაკის აუდიტორიისათვის.

**P.S.** გამოფენის ოფიციალური მედია-პარტნიორები არიან ინგლისურენოვანი გაზეთი Georgia Today , ჟურნალი ფოკუსი , გაზეთები ქართული უნივერსიტეტი და 24 საათი . ოფიციალური მედია-მხარდამჭერია რადიო უცნობი და რადიო ნაცნობი .

# 1Q84 - ჰარუკი მურაკამის "დიდი რომანი"

### იაპონელი მწერლის ახალი წიგნი გამოსვლის დღესვე ბესტსელერად იქცა

არიან ავტორები, რომლეთა წიგნებიც გამოცემამდე იქცევიან ხოლმე ბესტსელერებად. ასეთი პატივი მხოლოდ ერთეულების ხვედრია. ისინი ან უზომოდ პოპულარული და ყველასთვის საინტერესო მწერლები არიან ან ისინი, რომლებმაც კარგად იციან, რა არის საჭირო პოპულარობისთვის. იაპონელი მწერლის, ჰარუკი მურაკამის ახალი წიგნი ჯერ კიდევ სტამბაში იფუთებოდა, როდესაც მის შესახებ ნახევარი მსოფლიო ლაპარაკობდა, წიგნის მაღაზიების დახლებზე გამოჩენის პირველივე დღეს კი ტირაჟის უზარმაზარი ნაწილი გაიყიდა.

პირველ რიგში, რაც წიგნის მოყვარულთა თვალს იტყუებს, თავად ნაწარმოების სათაურია - "1Q84", რაც თურმე იაპონურად ასე კარგად ნაცნობ 1984-ს ნიშნავს. ეს ციფრი კი ჯორჯ ორუელის საკულტო რომანის სახელწოდებაა. მურაკამის შემთხვევაშიც იგი თარიღს აღნიშნავს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ავტორი წერს წარსულზე, 1984 წელს მცხოვრები შეყვარებულების შესახებ, რომლებიც გაურკვეველი რელიგიური სექტის გავლენის ქვეშ ექცევიან.

"ჩემი ახალი რომანის მეშვეობით მინდოდა თანამედროვე მსოფლიოს ქაოსი მეჩვენებინა. აქ აღწერილია სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების განსხვავებული ისტორიები, რომლებიც სიუჟეტის მსვლელობისას ერთმანეთს ეჯაჭვება და ერთიან ამბავს ქმნის," - განაცხადა პრესასთან საუბრისას მურაკამიმ და იქვე დაამატა, რომ წერისას ძალიან ეხმარებოდა დოსტოევსკის ნაწარმოებების ცალკეული თავების გადაკითხვა, რათა ამ ავტორისგან მაგალითი აეღო.

ჰარუკი მურაკამის ამ ნაწარმოებს მკითხველი შვიდი წლის განმავლობაში ელოდა, ამიტომ მისდამი ასეთი ინტერესი თუნდაც ამის გამო არ უნდა გაგვიკვირდეს. ამ წლების განმავლობაში პრესაში გამუდმებით ჩნდებოდა ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ იქნებოდა წიგნი, რეკლამის სახით კი სტატიებსა თუ სატელევიზიო სიუჟეტებში გამუდმებით ისმოდა, რომ მურაკამი "დიდ რომანს" წერდა. "ყოველდღიურად 5-6 საათის განმავლობაში ვმუშაობ. ამბავი, რომელიც ახლა ჩემს გონებაში დუღს, განსხვავებული ადამიანების შეხედულებებს აერთიანებს, ამიტომ განსაკუთრებული კონცენტრაცია მჭირდება. ხშირად მიჭირს კიდეც მთელი დღის განმავლობაში ერთ ადგილას ჯდომა, ამიტომ ვცდილობ დიდი დრო გავატარო ბუნებაში. ეს იქნება ჩემი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, თუმცა მხოლოდ ამ ეტაპზე, სამომავლოდ გაცილებით მეტის გაკეთებას ვაპირებ - დოსტოევსკიც ხომ ასაკოვანი იყო, როდესაც "ძმები კრამაზოვები" დაწერა", - უამბობდა მაშინ პრესას ავტორი, რომელიც ჟურნალისტებს არც ისე სწყალობს.

ინტერნეტმაღაზია "ამაზონ ჯაპანს" წიგნის გამოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე უკვე ჰქონდა 10 ათას ეგზემპლარიანი შეკვეთა, რაც უკვე აღიარეს ყველა დროის რეკორდად, ხოლო გამომცემლობა იძულებული გახდა, წიგნის ორივე ტომის ტირაჟი 200 ათასით გაეზარდა. უკვე არის შეკვეთები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, პარალელურად კი ნაწარმოების უცხო ენებზე თარგმნისთვის ემზადებიან.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" ჰარუკი მურაკამის "ნადირობა ცხვარზე" გამოსცა (მთარგმნელი ირაკლი ბერიაშვილი). ეს რომანი მურაკამის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საინტერესო ნაწარმოებად მიიჩნევა.

თვალსაზრისი

# მსურს გიამბოთ, ანუ რომელნი - ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა...

მეცხრე გვერდიდან

ამიტომ მე, მახსოვნან რა დღენი წინანი ვერც ერთი ელიტარელი იმ ეროვნულ-რელიგიურ ფასეულობებზე სპეკულაციებით, რომელთა გამო გუშინ თვითონვე მკლავდა, დღეს გულს ველარ ამიჩქროლებს, მით უმეტეს, რუსული დროშით. დიახ, ბატონებო, მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, ვინც ბიზნეს-ინტერესებისა თუ პოლიტიკურ-პირად ამბიციათა დასაკმაყოლფილებლად ვინმეს სამიტინგო სივრცეს შეუვსებს, ანუ ბირჟას გაუმაგრებს .

ჩვენთვის თვალებში ნაცრისშემყრელ ქართველ ელიტარელთა რაოზას რომ ჩასწვდე, რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ... მოღვაწეთა ნააზრევს უნდა გაეცნო ჰუმანიტარულ სფეროში. გარწმუნებთ, ქართული ელიტარული ინტელიგენცია აზროვნების სიღრმით, თუ გნებავთ სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური კულტურის დონით აზერბაიჯანულსა და სომხურს კოჭებამდე ვერ მისწვდება, რუსულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ოპოზიციის ლიდერთა მიერ (და ეს ეხება ნებისმიერ ჩვენგანს) საკუთარი თავის დემოკრატიული თუ სხვა რამ ფასეულობების საზომად წარმოჩენა, შემეცნების განვითარების თალსაზრისით, პირველი სოფისტიკის დონეზე დგომას ნიშნავს - ყოველ საგანთა საზომი არის კაცი (პროტაგორა), ხოლო ნიცშესეული მე მინდა თუ მას გვერდს არ უმშვენებს მე უნდა , ძალის რელიგიაში გადადის.

1992 წელს დაიშალა ერი და ის დღესაც დაშლილ მდგომარეობაშია. მისი ყოფიერების ველი ვერ გამთლიანდება ვერც პრობლემის გაყინვით, ვერც მკვლელისა და მოკლულის მექანიკურად გვერდიგვერდ დგომით, თუნდაც სატაძრო სივრცეში, ვინაიდან ეს ერთად დგომა ხორციელდება არა მკვლელთა მხრიდან საყოველთაო და წრფელი მონანიების ფონზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მოკლულის წინაპრებისადმი სიყვარულისა და ერთგულების ხარჯზე. მკვლელობა, თანაც მართალთა, დიდი დანაშაულია. მაგრამ მოკლულზე ხელის შეხოცვა - კიდევ უარესი. ცოდვის სახლად დადების რუსთველური ტრადიცია შუასაუკუნეების რუდიმენტადაც რომ მივიჩნიოთ (მე პირადად მწამს და მეშინია მისი), მამხილებელი გონება განა არ უნდა აწუხებდეთ მათ?!

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესის ილია II-ის უაღრესად ზნეობრივ მაგალითს, მე ვიტყოდი, პავლე მოციქულისებრს: ქართველთა შორის მე ყველაზე ცოდვილი ვარ , რატომღაც მიმდევარი არ გამოსჩენია, თუნდაც მის ისეთ სულიერ შვილებს შორის, რომელთა ბიოენერგეტიკული ველიდან მომდინარე უაროფითი იმპულსები საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, სამწუხაროდ, არასწორად, პატრიარქის პირად პოზიციად მიიჩნევა ხოლმე. სწორედ ფარისეველ კრიმინალ-ელიტარელებს მიუძღვნა ემიგრანტმა ანა სულხანიშვილმა სტრიქონები: ...თვისტომთ გულ-ღვიძლით და ნამკვდრევით ძალუმ გამომსკდართ, საკურთხეველთან მოეყარათ მბზინვარე თავი, დიდრონ-დიდრონი კვერონები ერჭოთ დინგებზე და სიმხურვალეს ბილწი ლეშისას, ვით გროვას თხრამლის, ჰგონიათ, რომ მისი სიწმინდით გამოიცხრობდნენ... ბიბლია გვასწავლის, რომ ურია ხეთელის მართალი სისხლი უფალმა თავის რჩეულს, დავით წინასწარმეტყველსაც კი არ შეარჩინა. პირად პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული მოძღვრება, საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომელიც სათავეს ასევე ბიბლიიდან იღებს, დღემდე ძვრას ვერ უშვრება ზემოხსენებულ მისტიკურ საკითხს.

ჩვენი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მასზე უწინ კიდევ მრავალთა (კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია...) ოცნება საქართველოს რუსული სივრციდან გამოყვანა იყო. ზვიადი ელიტარელებს , ისევე როგორც უწინ ილია სოციალ-დემოკრატებს, სთხოვდა: პრეზიდენტობა არ არის ჩემი თვითმიზანი, ხელს თუ არ შემიწყობთ, ნუ შემიშლით მაინც ჩვენი ქვეყანა არსებული ტერიტორიული საზღვრებით საბჭოთა კავშირიდან გამოვიყვანოო . პროფესიით კრიმინალებმა გაისიგრძეგანეს მაშინ მომენტის მთელი სერიოზულობა, ხოლო შეთავსებით კრიმინალ ელიტარელებმა - ვერა. და ჩემი გული რომანოზ მელოდოსივით მოსთქვამს: ვითარ აღიძრას მსმენელი, ვითარ შეძრწუნდეს მხედველი? ( იუდას გამცემლობა ).

ასე რომ, მომწონს თუ არა მე დღევანდელი ხელისუფლება (ყველას მოსაწონი ხელისუფლება კი, მოგეხსენებათ, ჯერ არსად არასდროს ყოფილა და არც იქნება, თუკი თავს ოქროს საუკუნის მითოლოგემებით არ მოვიტყუებთ), თუნდაც ამ ერთ საკითხში მთელი ჩემი შეგნებით სამშობლოსადმი მსახურებითა და უმაღლესი პატიოსნებით (გალაკტიონი) ვდგები მის გვერდით. 1990-91 წლების შემდეგ არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია. 2008 წელს კი ხმა მივეცი მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას და ეს გავაკეთე ცივი გონებითა და რკინის ლოგიკით, თორემ სიყვარულით მე არა ხელისუფლება აღარ მეყვარება.

ჩემთვის, ავერინცევზე, გურევიჩზე, გუმილიოვსა და სხვა დიდ რუს მოაზროვნეებზე გულწრფელად შეყვარებული ქალისთვის (მათმა შრომებმა შემინარჩუნეს ფიზიკური არსებობა), უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარა აქვს რუსეთის მართლმადიდებლობას, მაშინ როცა ეს დაუნდობელი ქვეყანა 200 წლის განმავლობაში ქართველთა ეთნოწმენდას (ამაზე ქართველი პოეტი და რუსი გენერალი გრ. ორბელიანიც ტიროდა) აგრესიული რუსული მართმადიდებლობის სახელით ჩვენსავე სამშობლოში ახორციელებდა და ახორციელებს.

რუსეთის მართლმადიდებელმა სახელმწიფომ ჩვენი ქვეყნის დაპყრობისთანავე გაძარცვა ქართული ეკლესიები (800 ურმით გაიტანეს საეკლესიო ქონება), ტომრებში ჩაყარეს და ისე გაგუდეს ჩვენი ეპისკოპოსები, წაბილწა ჩვენი სიწმინდენი... ახლაც ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ეკლესიას ართმევს, თანაც სრულიად უკანონოდ. ეპარქიებს, როცა უნდა და როგორც უნდა, თავში ურაკუნებს ჩვენს სასულიერო პირებს და პანღურით აძევებს ჩვენი წინაპრების აგებული ეკლესიებიდან. რუსეთის პატრიარქი საჯაროდ დასცინის და შეურაცხყოფს ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს. თვითონ მონა თავისი ქვეყნის ხელისუფლებისა, ჩვენს კათალიკოს-პატრიარქს სამშობლოს, სამწყსოს ღალატისკენ მოუწოდებს: თუ საქართველოს ხელისუფლების შეცვლაში მონაწილეობას მიიღებ, ეპარქიებს მაშინ დაგიბრუნებო (ეს გახლავთ სატელევიზიო ინფორმაციის, მართალია, ჩემეული, მაგრამ ზუსტი ქვეტექსტი). მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რა არის ეს, თუ არა შეურაცხყოფა?!

დღეს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მართლმადიდებელი ქართველის შეგნებაში, იმათში, ვინც ალვიზარდეთ შეგონებებით: ენაც წაგვართვეს და რჯულიც, ნათელი რამღა გვინოსო?! ქრისტეს სახელით ქრისტეს რჯულს წვალება შემოერია (სხვათა შორის, ამ ყოველივეს მე პირადად ილიასა და არტურ ლაისტის აღზრდილი, ღვთაებრივი მეჯოგე და მეღორე, ოდისევსის მეღორის მსგავსი პაპა სანდრო უნდილაშვილი სამწყემსურში 5-11 წლის ასაკში სულ ზეპირად მასწავლიდა, თანაც გამოთქმით); ვისთვისაც ჩვენი კლასიკოსების სახელმწიფოებრივი და მართლმადიდებლური პლატფორმა ჩვენი არსებობის ფორმაა, იმათში, ვისაც კარგად გვახსოვს ავბედითი 1992 წელი და ის სისხლის წვიმები, რუსეთს კი არ შეუძლია სისხლისღვრის გარეშე. ვინც ვერასოდეს შეეგუება რუსეთის პოლიტიკას საქართველოს წინააღმდეგ, ვინც თვლის (სტატისტიკურ თუ სხვა ფაქტებზე დაყრდნობით), რომ ჩვენ არანაირი ვალი და ვახში არ გვაწევს რუსეთის სახელმწიფოს წინაშე, რომ საქართველოს არ დაუწყია არანაირი ომი არასდროს რუსეთის წინააღმდეგ, ფონზე ზოგიერთი სასულიერო პირის პრორუსული აზრებისა წმინდა რუსეთის საქმეებზე (მ. ჯავახიშვილი), ფონზე ზოგიერთი მეცნიერის მჭევრმეტყველური ნიმუშებისა: გაუმარჯოს მართლმადიდებელ რუსეთს! (კი ბატონო, გაუმარჯოს, თუკი ასეთი რამ ბუნებაში არსებობს); რუსებს ვუყვარვართ, ქართველთა ეთნოწმენდა ეს უბრალოდ პოლიტიკაა და მეტი არაფერი ; გაგონილა, ქართველი ახალგაზრდობა რუსულ კლასიკას ორიგინალის ენაზე ველარ კითხულობს (სწორედ მათზეა ნათქვამი, კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდაო ).

იბადება სრულიად ახალი და თანაც ძველი ტენდენცია: ჩვენი გადასანსვლის მოსურნე ერთმორწმუნე ბიზანტიასაც უწევდნენ წინააღმდეგობას ჩვენი მეფეები და დიდი ქართველი მამები მხარში ედგნენ მათ; გიორგი ჭყონდიდელი, ეს უდიდესი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, ამოუდგა მხარში დავითს, თურქ-სელჩუკთა მიერ ოკუპირებული ქვეყნის მეფეს, სანამ ის აღმაშენებელი გახდებოდა. დაეხმარა საერო და სასულიერო ცენტრიდანული ძალების დამორჩილებაში. დღევანდელმა ქართველმა ფანტაზიას უნდა მოუხმოს იმ სიძულვილის წარმოსადგენად, რაც მაშინდელ საქართველოში რეფორმების გამო დავით IV-ის მიმართ იარსებებდა. ქართველ დიდებულთა გადაგვარებით შეძრწუნებულ დავითს დიდგორის ომის წინ (1121 წ.) ყივჩაღთა ვითომ საგარეო საფრთხეების გამო შემოყვანა (1118 წ.), სინამდვილეში ზურგის გასამაგრებლად დასჭირდა. სწორედ ამ პოლიტიკური რეალობის ეგზუკუცის გამოძახილი უნდა იყოს ხალხური ლექსი შამამეყარა ყივჩაღი . ჩვენი, თუნდაც მხოლოდ ჩვიდმეტწლიანი ისტორიიდან გამომდინარე, ვერავინ დამარწმუნებს, რომ მაჰმადიანური თბილისიდან თუ ყოველი თურქობისგან სულთან მაჰმუდ მუჰამედის ძისადმი გაგზავნილ წერილებში ერთი მართლმალილებელი ქართველის წერილიც არ ერია. 15000 ყივჩაღის დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობის მათე ურჰაელისეული ცნობა, გაზიარებული ქართველი ისტორიკოსების მიერ, ჩემი აზრით, ვერ აკმაყოფილებს ისტორიული მასალის ისტორიულ ფაქტად ქცევის სამეცნიერო კრიტერიუმებს. მოგეხსენებათ, ქართულმა საისტორიო, სალიტერატურო და ზეპირმა ტრადიციამ სულაც არ მიაგო სათანადო პატივი დავით აღმაშენებელს, რომ აღარაფერი ვთქვათ ბაგრატ III-სა და გიორგი ბრწყინვალეზე.

ჩვენ საუკუნეები გვიცხოვრია რუსეთისა და მართლმადიდებლობის რუსული ვარიანტის (ლ. გუმილიოვი) გარეშე და ვიცხოვრებთ კიდეც. ნუთუ ჩვენთვის უნდა ჰქონდეს მხოლოდ მნიშვნელობა მათს მართლმადიდებლობას და ჩვენსას მათთვის - არა?! თუ ჩვენი ერთმორწმუნეობა რუსეთისათვის ჩვენი კოპტიზაციის , ჩვენი სახელმწიფოს დაშლისა და მისი ტერიტორიულ ერთეულად მიერთების საბაბია, ტერიტორიულ ერთეულს კი სულაც არ სჭირდება ავტოკეფალური ეკლესია, რაც გამოცდილებით უკვე ვიცით, თუ რუსული ენა უნდა გახდეს ჩვენი სახელმწიფო ენა და აქედან გამომდინარე, საეკლესიოც, მაშ, არა შიში და კანკალი რუსეთის სახელმწიფოსა და მისი მართლმადიდებლობის წინაშე, არამედ სწორება ქართული ეკლექტიზმის მამის, ღვთის მადლის მწვანილისა და წყალთა ზედა სულთა განსასვენებლის დამაარსებლის გრიგოლ ხანძთელისაკენ, რომელიც არაბთა მიერ ოკუპირებული ქართლიდან დევნილ აშოტ I-ს მხარში ამოუდგა და თავის მოწაფეებთან ერთად იმდროინდელი მსოფლიო ომებისა და რელიგიური ომების პირობებში სხვის იურისდიქციაში მყოფი დასავლეთ საქართველოს ეპარქიები უფლის კვართის სამკვიდრებელ მცხეთას შემოუერთა.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მართლმადიდებელმა რუსეთმა ვერასდროს შეჰბედა სომხურ ეკლესიას, სწორედ მისი გრიგორიანელობისა გამო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტოლერანტულ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობისას ჩვენი მართლმადიდებლობა უფრო უკეთ იქნება ჩვენი იდენტობის დამცველი, ვიდრე რუსულ სივრცეში დაბრუნებისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე: 1. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, 2. აგრესიული მეზობელი, 3. სახელმწიფოებრივი შეგნების გაერთგულებისა (ბარათაშვილი) და პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე; სადაც გუშინ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლნი დღეს ადვოკატებად, დამოუკიდებელ ექსპერტებად (ალბათ განადგურებაში), ადამიანის უფლებების დამცველებად და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლებად არიან ფერნაცვალნი და გადანაწილებულნი (მელი მოძღვრადო, სწორედ მათზეა ნათქვამი), სადაც ქვეყნის მართვაზე, პიროვნულ ზნეკეთილობასა და უმწიკვლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ისეთი ლიდერები, რომელთაგან ზოგი 1991 წელს სტრასბურგში სამშობლოს წინააღმდეგ პოლიტიკური ბეზღით იყო დაკავებული. დარწმუნებული ვარ, იქ მისებრი არც მანამდე უნახავთ ვინმე, ვერც მის შემდეგ ნახავენ; ზოგს 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს გლოვა ჰქონდა გამოცხადებული, ზოგი ვერა-ვაკის კინტოთა საძმოში იყო და გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი ნიშნებით კარგად სარგებლობდა, ანუ ქურდობდა; ზოგი ქურდ-მკვლელი შვილს ამზადებდა საქურდბაცაცოდ, ზოგიც კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა ლიკვიდაციით იყო დაკავებული, რომელთა რუსეთის აგენტობის დასამტკიცებლად მე არანაირი იურიდიული ძალის დოკუმენტები ნამგალითა და უროთი არ მჭირდება - ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო მოდელი ჯერჯერობით მაინც არასწორად მიმაჩნია. იდეა - საპრეზიდენტო მმართველობამ არ გაამართლა - მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის შედეგებით განმტკიცებას საჭიროებს, ისევე როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის იდეა. ამას კი, ვინაიდან საქართველო არც მარტო ხელისუფლებისაა, არც მარტო ოპოზიციის და არც დამოუკიდებელი ექსპერტებისა და არასამთავრობოების, მით უმეტეს, ვერა-ვაკის კინტოების, სჭირდება ვრცელი დისკუსიები ფართო საზოგადოების, თქვენ წარმოიდგინეთ, სოფლელებისა და გლეხების ჩართვითაც კი. გლეხი კაცი გადაშენდეს, საქართველო გარდაქარდესო - ხედავთ, დემოკრატიას ჩვენში ჯერ არჩილ მეფის დონემდეც ვერ მიუღწევია. ნაუცბათევი არაფერი ივარგებს. ჩემი აზრით, თუ გლეხის აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, არჩევნები უკვე განსაზღვრულ ვადებში უნდა ჩატარდეს. პირველი იმიტომ, რომ ახლა საარჩევნო მარათონში ჩაბმა არა ქვეყნის, არამედ რუსეთის წარმატება იქნება. მეორე, ჩემი ოცნება, შეიძლება ჩეხოვისებურიც კი, ის არის, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ არა ზემოთ დახასიათებული შავბნელი წარსულის ადამიანები, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო დატოვონ მათნაირებმა, ეს კი 2013 წელს არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც შესაძლებელია ქართული ეკლექტიზმით აღზრდილი ახალგაზრდებისა და წინა თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

და თუ ჩვენ მართლაც გვეყოფა ჭკუა, გიჟვრაცუობას ცოტა განზე მაინც თუ გავუდგებით, ჩვენ რომელნი - ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა (საბანისძე) ანუ წარმოვადგენთ ქვეყნიერების განაპირა მხარეს, დამდაბლებულნი და დაწყნარებულნი (იოანე ზოსიმე) გადარჩენის იმ მცირე თეორიული შესაძლებლობებითაც კი, რაც გვაქვს, უფლის იმედით, წმინდანთა მეოხებით, ჩვენი სასულიერო პირების ლოცვაკურთხევის მადლითა და ჩვენი შრომისმოყვარეობით ნამდვილად ვიქცევით ყურედან ყორედ, მისტიკურთან ერთად რეალურ ყორედ, უფლის მთად, მსოფლიო მნიშვნელობის ქვეყნად.

*ქეთევან ჯერვალიძე*

*შთამომავალი იმ ადამიანებისა, ვისი მიხედვითაც ილია ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახეები შექმნა და ვინც ილიას წიწამურში გადაეფარა.*

*27 მაისი, 2009 წელი*



## აფიშა

29 მაისი

**თეატრი**
**შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი**
ყოფილების სარეცელი
რეჟისორი ნინო ლიპარტიანი
დასაწყისი: 19.00

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
ეწერში მდგარი თხემა
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
პრემიერა
ორნი საქანელაზე
დასაწყისი: 20.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი**
პრემიერა
ბერნარდა ალბას სახლი
რეჟისორი ნანა კვასხვაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
თაგვი
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

**თავისუფალი თეატრი**
ძმები
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
წმინდა გიორგი
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

**გრიბოედოვის თეატრი**
ბედნიერი ერი
რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი
დასაწყისი: 19.00

**კინო**
**ამირანი**
აწყვეტილები 4
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 12.30
როდესაც მას არ უყვარხარ
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.45; 22.15

**საქართველო**
მადაგასკარი
დასაწყისი: 13.00; 15.00
თქვი დიახ
დასაწყისი: 17.00
აწყვეტილები 4
დასაწყისი: 19.00; 21.00

**გამოფენები**
**კლუბი 24**
მსოფლიო პრესის ფოტოგამოფენა

**ქარვასლა**
კოტე ჯინჭარაძის გამოფენა
დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX

**თიბისი გალერეა**
ფოკას დედატა მონასტრის ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
გია ბუღაძის სახელოსნოს სტუდენტების გამოფენა

# აკადემია ავარიულ შენობასა და ველასკესისა და გოიას ქალაქში

თამარ კიკნაველიძე

*საქართველოში განათლების რეფორმის საწყისი ეტაპიდან უკვე თითქმის ხუთი წელი გავიდა. აღნიშნული რეფორმა, ზოგადად რეფორმებისთვის დამახასიათებელი სიხისტის გამო, განსაკუთრებით რთული გამოდგა უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლებისთვის. იმის გასარკვევათ თუ რა ეტაპზეა ის ამჟამად, მორიგი სასწავლო წლის დასასრულს 24 საათი სამივე სახელოვნებო უნივერსიტეტის რექტორებთან ინტერვიუებს შემოგთავაზებთ. თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორს, ბატონ გია ბუღაძეს გავესაუბრეთ.*

სიახლეები, რეფორმა და პრობლემა, რომლის დაძლევა და მოგვარება ვერ მოხერხდა - აი, ამ საკითხებზე საუბრით დაიწყო ჩვენი გია ბუღაძესთან, რომელმაც ამ და სხცა შეკითხვებს ვრცლად და ამომწურავად უპასუხა.

გია ბუღაძე: - უკვე თვენახევარია, რაც მადრიდში, ხორხე ხუანეს ქუჩაზე გახსნილი გალერეა - საქართველო დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს. ამ სივრცეში, სულ მალე, მეორე გამოფენა გაიხსნება და ქართველი სტუდენტების ნამუშევრებთან ერთად, რამდენიმე ხანდაზმული მხატვრის ტილოები გამოიფინება. ახალი ექსპოზიცია, რომელიც საზოგადოების წინაშე განახლებული სახით წარსდგება და ვფიქრობ, თეთრ ფერში იქნება გადაწყვეტილი, სავარაუდოდ, 7 ან 8 ივნისს გაიხსნება. ძველი ნამუშევრებიდან კი რამდენიმე სხვადასხვა საგამოფენო დარბაზში გადაინაცვლებს, რაც ჩვენი უცხოელი პარტნიორების დამსახურებაა. ამასთან, მე და ანა მარია პიტამ, რომელიც აღნიშნული საგამოფენო სივრცის მფლობელი გახლავთ, ჩამოვაყალიბეთ ქართველი მხატვრების ხელშეწყობისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი. ვფიქრობ, ამ ფონდის ჩამოყალიბებით კიდევ უფრო აქტიურად ამუშავდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა პროექტის განხორციელებაში ხელს გვიშლის. მათი უმრავლესობა, შესაძლოა, საქართველოს ნაცვლად აზერბაიჯანში ამოქმედდეს, რადგანაც იქ საკმაოდ სერიოზული აკადემია შექმნეს, რომელიც მართალია სულ რაღაც 17 წელია რაც ფუნქციონირებს, მაგრამ იმ ქვეყანაში სტაბილურობაც არის და საქართველოსთან შეადრებით, ფულიც მეტია. მადრიდს რაც შეეხება, იქ არსებობს უნივერსიტეტი კომპლუტენცა , რომელსაც აქვს სახვითი ფაკულტეტი და გვინდა, რომ ჩვენი მხატვრების ნამუშევრები გალერეა საქართველოდან იქაც გადავიტანოთ. ქართველების გამოფენა, შესაძლებელია, სენატის შენობაშიც განთავსდეს. ამ საქმეებში ძალიან გვეხმარება საქართველოს საელჩო, რომლის ხელშეწყობითაც წარმატებით ამოქმედდა მე და გიორგი ძიგუას კერძო პროექტი მადრიდში ქართული საგამოფენო სივრცის გახსნის შესახებ.

მადრიდი მუზეუმების ქალაქია. იქ არა აქვთ ძველი სასახლეები, როგორსაც, მაგალითად, ფლორენციაში, რომში, პარიზში ან ლონდონში აღმოაჩენთ და არც დიდებული არქიტექტურა, მაგრამ აქვთ გრანდიუზული სამუზეუმო სივრცე - მარტო პრადოს, ტისენის და რეინა სოფიას სახელების ჩამოთვლა რად ღირს ან კიდევ კოხორის, სადაც თანემდროვე ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი და თითქმის, არაფრით ჩამოუვარდება ვენეციის ბიენალეს. ბოლოს და ბოლოს, მადრიდი ხომ ველასკესისა და გოიას ქალაქია

**- სამხატვრო აკადემიას რომ დავუბრუნდეთ, როგორ მიმდინარეობს განათლების რეფორმა? რა გაკეთდა და რა ვერა?**

- ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით საერთაშორისო კონტაქტების




*გალერეა "საქართველო" მადრიდში*

დამყარება მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ წარმატებული წლები გვქონდა და პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ვისაც ამის დანახვა არ სურს, ის ვერც დაინახავს... მაგალითად შარშან, ჩვენი აკადემიის კომპიუტერული გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტმა - შორენა ტუზურიამ ფლორენციაში, კომპიუტერული დიზაინის სფეროში, გრან პრი მოიპოვა. სულ ცოტა ხნის წინათ კი, მიუნხენში ჩვენმა ორმა სტუდენტმა საერთაშორისო კონკურსზე - ოქროს კენტავრი პირველი და მესამე ადგილი დაიკავა. მათ ოცდაათი ევროპული აკადემიის წარმომადგენელს აჯობეს. ისინი თამაზ ვარვარიძის სტუდენტები არიან. ზოგადად სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი და მისი დეკანი გია გუგუშვილი კარგად ართმევენ ტავს რეფორმისთვის დამახასიათებელ სირთულეებს.

ახლა მიმდინარეობს პროექტი, რომლის დაფინანსებაშიც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო დაგვეხმარა და ქართველ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ გერმანელ მკვლევარს, არტ-სოციოლოგიის სფეროში ძალიან კარგ სპეციალისტს ქრისტიან ჰამსიას, რომელიც მესამე თვეა, რაც აკადემიაში კითხულობს ლექციებს, აწყობს გამოფენებს და უახლოეს მომავალში ქართველი სტუდენტების ნამუშევრების კატალოგის გამოცემასაც გეგმავს. ურთიერთობის გაღრმავებას ვაპირებთ ფლორენციის დიზაინის აკადემიასთან. ასევე, რომის არქიტექტურის უნივერსიტეტთან - ლა საპიენცა, სადაც გვსურს, რომ ჩვენი სტუდენტები მივავლინოთ. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ბალტიისპირეთის აკადემიებთან, კერძოდ რიგასთან და გვსურს განხორციელდეს პროექტი, რომელიც წარმოადგენს ორ-ორ სტუდენტსა და პროფესორთა მოხსენებებს ბალტიისპირეთისა და კავკასიის სამ-სამი ქვეყნიდან. ახლა ჩვენი რამდენიმე სტუდენტი ბერლინსა და დრეზდენში გაემგზავრება ეს ყველაფერი ლიტონი სიტყვები არ გახლავთ

ამასთან, ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც ბევრმა უნივერსიტეტმა ჯერ ვერ შეძლო, ანუ ფაკულტეტებს ფინანსური დამოუკიდებლობა მივანიჭეთ, რასაც ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს. აკადემიის შემოსავლის 80 პროცენტი სწორედ ფაკულტეტებს ეკუთვნით, ადმინისტრაცია მხოლოდ ტექნიკური საკითხების მოგვარებაშია ჩართული. და მიუხედავად იმისა, რომ მცირე შემოსავალი გვაქვს, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ხელფასები დიდშემოსავლიანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებისას ბევრად აღემატება.

მას შემდეგ, რაც რესტავრაციის ფაკულტეტი ცენტრალიზებული საბიუჯეტო დიქტატისაგან გავათავისუფლეთ და ე.წ. პერკაპიტას პრინციპი განვახორციელეთ, რესტავრაციის დეკანის - ნანა კუპრაშვილის ინიციატივით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ჩვენთან მოწვეულნი იყვნენ მიქელანჯელოს და ბერნინის ნამუშევრების რესტავრატორები და ა.შ. გასულ წელს, კულტურის საერთაშორისო ფონდთან ერთად, კულტურის სამინიტროს დახმარებით, ჩატარდა ქართული ხელოვნებისა და კულტურის გრანდიოზული სიმპოზიუმი, რომლისთვისაც საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის მრავალი წარმომადგენელი ჩამოვიდა. თუ ფინანსები მოვიძიეთ, ამ ტიპის ღონისძიება წელსაც განხორცილედება, მხოლოდ უკვე ფლორენციაში, სადაც სამხატვრო აკადემიასთან ერთად, ჭავჭავაძისა და ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს ყველაფერი კი, უპირველესად საჭიროა იმისათვის, რომ სტუდენტებმა გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა და იცოდნენ რას ნიშნავს კულტურულ გარემოში ცხოვრება და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. ძალიან საინტერესოდ მუშაობს არქიტექტურის ფაკულტეტი. დეკანი ნოდარ ამაშუკელი სტუდენტებს არაერთ საინტერესო პროექტში მონაწილეობის საშუალებას აძლევს და ჩემი აზრით, თანამედროვე სივრცეში ზუსტ ვექტორებს აჩვენებს.

**- რითი დაიწყეთ რეფორმა აკადემიაში, რა იყო ძირითადი მიმართულება თქვენს პროგრამაში?**

- ჩემი საპროგრამო მოთხოვნა იყო ქოლგის პრინციპის, ანუ უწყვეტი განათლების სისტემის ამუშავება. დღეს უკვე გვაქვს ამ სისტემის სამი საფეხური: სახელობო, პროფესიული და აკადემიური. ეს სისტემა, იდეალურ ვარიანტში, გვაძლევს დასაქმებულ ადამიანს სოციუმში. დოქტორანტურა ახლა ოთხ სფეროში ფუნქციონირებს, მაგრამ ვაფართოვებთ, ამასთან დაკავშირებით, გვაქვს ძალიანს სერიოზული კონსულტაციები განათლების სამინისტროსთან. ეს ყველაფერი შიდა აკადემიური პროცესებია. ამავე დროს, საინტერესოა სიახლეები ზოგადად ჩვენს სფეროში. სასიხარულოა, რომ სახელმწიფო და ეროვნული პრემიები აღდგა და ის ჩვენი სფეროს ოთხ წარმომადგენელს - ჯიფსონ ხუნდაძეს (შოთა რუსთაველის სახელობის პრემია), ემირ ბურჯანაძეს (ეროვნული პრემია), ზურაბ ნიჟარაძეს (ეროვნული პრემია) და ვაჟა ორბელაძეს გადაეცა. არსანიშნავია, რომ ისინი ჩვენი პედაგოგები არიან. ხელოვნება მხოლოდ ტაშ-ფანდური არ არის, არსებობს ხელოვენება, რომელიც გაცილებით ღრმაა, ბევრად მნიშვნელოვანი და ამ დროს ბევრად ნაკლები დაფინანსებით.

ხუთ დღეში ვენეციის ბიენალე იწყება. ჩვენ მასში ინსტიტუციონალურად არ ვმონაწილებთ, მაგრამ ჩვენი პედაგოგია კოკა რამიშვილი, რომელიც წელს საქართველოს წარადგენს. ის აკადემიაში თანამედროვე მედიებსა და საშუალებებს ასწავლის. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ვენეციაში ქართული პროექტის კურატორია ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ხაბულიანი, ასევე ჩვენი პედაგოგი.

ძალიან აქტიურად მუშაობს ჩვენი საგამოფენო სივრცე, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მხატვრებისთვის და პედაგოგებისთვის. მიუხედავად ჩვენი შენობის უმძიმეს მდგომარეობისა, აქ მაინც ვამუშავებთ საგამოფენო დარბაზს, რომელიც თანდათან ინგრევა. აქტიური საგამოფენო პროცესებია ჩვენს გალერეაში აკადემია + შარდენზე.

**- რა ვერ გაკეთდა, რა დარჩა პრობლემად?**

- მწირი დაფინანსების გამო, ვერ ვმონაწილეობთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში. ძალიან გვინდა ბერლინში გავუშვათ ორი სტუდენტი, მაგრამ სახსრები ჯერჯერობით არ არსებობს. ჩვენ პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსებისთვის ვემზადებით. იმედი მაქვს, რომ ამასაც ბრძოლების გარეშე გადავიტანთ. ჩვენ უფრო ლიბერალური პრინციპით განცვახორციელეთ ეს რეფორმა და შეძლებისდაგვარად ყველას მივეხმარეთ, შტატებიც კი გავყავით, რომელიც გარკვეულწილად დაღვევა იყო, თუმცა კი შევათანხმეთ ორივე სამინისტროს იურიდიულ სამსახურთან, რომ რაც შეუძლება მეტი ადამაინი შეგვენარჩუნებინა

ყველაზე დიდი პრობლემა შენობის ავარიულობაა, ის უმძიმეს დღეშია. ქართუ ფონდის მიერ შესწავლილია აბსოლიტურად მთელი შენობის მდგომარეობა. მაგრამ ანალიზი არ კმარა, ქმედებაა საჭირო. ამ ფონდის მადლიერები ვართ, მათი იმედი გვაქვს სამომავლოდაც, მაგრამ დღეს შენობა უკვე ნგრევის პირასაა მისული... ჩვენ რაღაც თანხების მობილიზება მოვახდინეთ, რომ პროექტი ხელახლა გადაგვემუშავებინა, ერთადრეთი რაც მამშვიდებს, პირველი რექტორი, გიორგი ჩუბინაშვილი რომ მოვიდა იმდროინდელი მთავრობის მისამართით პირველი წერილი შენობის ავარიულობის შესახებ დაწერა. მაგრამ ერთი ვიცი ზუსტად, რომ ამ პრობლემას ჩვენი ძალებით ვერასდროს მოვერევით, ჩვენ ამდენი დაფინანსება არა გვაქვს ამიტომაც ჩვენ პირველ რიგში აქცენტს ვაკეთებთ პროფესორ-მასწავლებლებისა და ტექნიკური ბაზის განვითარების მიმართულებით როცა ეს შენობა ფეხზე დაადგება, მჯერა ამაზე კარგი სანახავი არაფერი იქნება. აკადემიის სახით სახელმწიფოს ექნება სივრცე ადგილობრივი და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების დამყარებისა და გამყარებისთვის მაგრამ ამისთვის მონდომებაა აუცილებელი, ქართულ სახვითობას, მის ტრადიციასა და შესაძლებლობებს დანახვა და დაფასება სჭირდება.

## გარდაიცვალა ალექსანდრე ბაქრაძე

ალექსანდრე კოსტანტინეს ძე ბაქრაძე დაიბადა 1925 წლის 5 მაისს ქუთაისში. სკოლა ფოთში 1943 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც გაიწვიეს ჯარში, სადაც სატორპედო კატერის ბოცმანი გახდა. კონსტანცის ოპერაციის შემდეგ დააჯილდოეს მედლით მამაცობისთვის.

1945 წელს ჩააბარა ოდესის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკლულტეტზე, რომელიც დაამთავრა კიდეც, ამის შემდეგ - 1949 წელს გადმოვიდა თბილისში და გახდა სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაქულკეტიტის სტუდენტი. სამხატვრო აკადემიაში სწავლა 1955 წელს დაამთავრა. მუშაობდა თბილქალაქპროექტში, თბილზნიეპში და არქიტექტურის ინსტიტუტში დიზაინერად.

1969 წელს მიიწვიეს აკადემიაში ინტერიერტის დიზაინის პედაგოგად. 1074 გახდა ამავე მიმართულების კათედრის გამგე. იყო პროფესორი, ფაკულტეტის საბჭოს და მეთოდსაბჭოს წევრი.

ალექსანდრე ბაქრაძე მაღალი დონის გრაფიკოსი და სკულპტორი გახლდათ.

წერდა ლექსებსა და ესსეებს. გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული.

მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: 300 არაგველთა ძეგლი და მემორიალი თბილისში; თბილისის ოპერის თეატრის ბაღის რეკონსტრუქცია; სასტუმრო მედეა ბათუმში (აღარ არსებობს). კარდეოლოგიური გამაჯანსაღებელი ცენტრი, თბილისის ზღვაზე; ღამის კლუბი მუხამბაზი ; უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღები დარბაზი;

სასტუმრო ივერიის რესტორანი და ბარი; კოჯრის მისადგომთან დაღუპულ ოინკერთა მემორიალი და შოთა რუსთაველის მემორია.

ალექსანდრე ბაქრაძე იყო ინტელექტუიალი, პრინციპული ადამიანი და ძალიან კარგი პედაგოგი. მან აღზარდა ქართველი ინტერიერის დიზაინერთა თაობები.

თამამად შეიძლება მას ვუწოდოთ ინტერიერის დიზაინის მამამთავარი საქართველოში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს. ღრმა წუხილს გამოვხატავთ ამ ღირსეული ადამიანისა და ხელოვანის გარდაცვალების გამო.

*აპ.ქუთათელაძის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*

# სპორტი

## ძიუდოში წყალი მღვრიეა



ბიბა ბურასაშვილი

*თითქოს შიდა პოლიტიკური დაპირისპირება გვაკლდა და ძიუდოს სამყაროშიც იგივე ხდება. მართალია, ეს სიტუაცია არც დღევანდელია და არც გუშინდელი, მაგრამ იმედი გვქონდა, რომ ვითარება განიმუხტებოდა და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდებოდა. ვგულისხმობთ იმ ძიუდოისტებს, რომლებმაც ორიოდე თვის წინ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ბაკურიანის შეკრება თვითნებურად დატოვეს (მიზეზი სპორტსმენებსა და ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს შორის დაპირისპირება იყო), მოგვიანებით კი სანაკრებო შეკრებებზეც უარი თქვეს. იგივე სურათია ახლაც. აჭარაში, ზღვის სანაპიროზე მყოფი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები კვლავ არასრული შემადგენლობით ემზადება.*

წლის დასაწყისში შიდა დაპირისპირება გახმაურდა. 15 იანვარს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობისგან ზეწოლაზე ისაუბრა. იმავდროულად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დავით ბერძენიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. რა თქმა უნდა, იყო ორმხრივი ბრალდებები, რომლებიც დროთა განმავლობაში მინავლდა. ის იყო, მშვიდობამ (მოჩვენებითმა) დაისადგურა, რომ დაახლოებით თვე-ნახევარში მორიგი სკანდალის მოწმენი გავხდით. ეს უკვე ბაკურიანის შეკრებას ეხება. შოთა ხაბარელთან უთანხმოების გამო ნაკრების წევრებმა თვითნებურად დატოვეს შეკრება. მას მერე თითქმის არაფერი შეცვლილა. მეამბოხეები ისევ ნაკრებს მიღმა არიან. საქართველოს ნაკრები, რომელიც როტერდამის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბათუმში ემზადება, ისევ იმ ძიუდოისტების გარეშეა, რომლებმაც მაშინ შეკრება მიატოვეს. გუნდის მთავარ მწვრთნელს კი, წინასწარი გეგმის თანახმად, ბათუმში ნაკრების მთავარი კანდიდატებიც უნდა წაეყვანა. მზადებით კი ემზადებიან ნესტორ ხერგიანი, ამირან პაპინაშვილი, შალვა ქარდავა, თენგიზ პაპოშვილი, ამბაკო ავალიანი, ვარლამ ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური, ზურაბ ზვიადაური, იოსებ მსხალაძე და ზვიად ხანჯალიაშვილი. სავარაუდოდ, მათ შეუერთდება ნოდარ მეტრეველი. ბეთქილ შუკვანი, მიხეილ ხომიზური, ლევან წიკლაური და ადამ ოქრუაშვილი კი საკლუბო ტურნირზე ირჯებიან - ისინი თავად ხაბარელმა გაათავისუფლა.

რაც შეეხება ამბოხებულ ზაზა კედელაშვილს, ირაკლი ცირეკიძეს, ლევან ჟორჟოლიანს, ლაშა გუჯეჯიანს და დავით ქევხიშვილის, ისინი ბორჯომში გურამ მოდებაძის ზედამხედველობით ვარჯიშობენ.

შოთა ხაბარელს არც ერთი მათგანისთვის ნაკრების კარი არ მიუხურავს. პირიქით, თუ მომდევნო შეკრებაში მონაწილეობისგან თავს არ შეიკავებენ, აგვისტოში როტერდამში ჩასატარებელი მსოფლიო ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა გაეხსნებათო, - ამბობს მწვრთნელი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ცხადია, მეამბოხეები ტურნირს მიღმა დარჩებიან.

## ჩერჩილის თასზე ექსპერიმენტული შემადგენლობით ვითამაშებთ

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თიმ ლეინმა დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც "ჩერჩილის" თასისათვის მოემზადება. გუნდი, რომელიც 28 მორაგბისაგან შესდგება, საფრანგეთში, კანში დაიწყებს მზადებას, საიდანაც აშშ-ში გადაფრინდება და 6 ივნისს ტურნირის პირველ შეხვედრას გამართავს კანადის ნაკრებთან. 14 ივნისს "ბორჯღალოსნები" "ა" ჯგუფის მეორე მატჩში ირლანდიის "ა" ნაკრებს გაეჯიბრებიან. 21 ივნისს კი დენვერში ფინალური შეხვედრები შედგება. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა - შერკინება: დავით გასვიანი ("ბობინი" საფრანგეთი), გიორგი ჟღენტი ("ორიაკი" საფრანგეთი), ზერო პეტრიაშვილი ("ლოკომოტივი" თბილისი), ვასილ კაკოვინი ("უნივერსიტეტი" თბილისი), ირაკლი ნატრიაშვილი ("ფარული" რუმინეთი), დავით დადუნაშვილი ("მასი" საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე ("ყოჩები" თბილისი), ლევან დათუნაშვილი ("ორიაკი" საფრანგეთი), კახა უჩავა ("ფარული" კონსტანცა), გიორგი ნემსაძე ("დომონი" საფრანგეთი), გია ლაბაძე (კაპიტანი, უკლუბო), ზვიად მაისურაძე ("ლოკომოტივი"), სიმონ მაისურაძე ("კლერმონ ოვერნი" საფრანგეთი), დიმიტრი ბასილაია ("მორლე" საფრანგეთი), ირაკლი გუნდიშვილი ("პერიგო" საფრანგეთი), რატი ურუშაძე ("ენისეი-სტმ" რუსეთი). უკანა ხაზი: გიორგი როხვაძე ("აია" ქუთაისი), შარლ-ედუარდ იაშვილი ("ბიარიცი" საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე ("ბეზიე" საფრანგეთი), ლაშა ხმალაძე ("ლელო" თბილისი), რეზო გიგაური (უკლუბო), დავით კაჭარავა (უკლუბო), სანდრო თოდუა ("ლელო" თბილისი), ირაკლი მაჩხანელი ("აჟენი"), გიორგი ელიზბარაშვილი ("აკადემია" თბილისი), ლექსო გუგავა ("ლოკომოტივი" თბილისი), თემურ სოხაძე ("კრასნი იარი" რუსეთი), მერაბ კვირიკაშვილი ("პო" საფრანგეთი). მთავარი მწვრთნელი: თიმ ლეინი. ასისტენტები: ჯონი ნგუამო და დამიენ ქამინსი.

### ბოისამ ფინალური სერია მარცხით დაიწყო

ხორვატიის საკალათბურთო ჩემპიონატში მიმდინარეობს ფინალური დაპირისპირება, რომელშიც ვლადიმერ ბოისას ზადარი ციბონას ეთამაშება. ფინალურ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობას ციბონა ფლობს. სწორედ ამ გუნდის მოედანზე გაიმართა სერიის პირველი მატჩი, რომელიც ზადარმა წააგო - 75:86. საქართველოს ნაკრების კალათბურთელი ყოველთვის ხვდებოდა გუნდის ძირითად ხუთეულში, თუმცა ფინალური სერიის პირველ შეხვედრაში ზადარის მთავარმა მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა ბოისა სასტარტო ხუთეულში არ ათამაშა. ვოვამ მოედანზე 25 წუთი დაჰყო და სტუმრებს 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა. ქართველმა კალათბურთელმა 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ორქულიანი და 2 სამქულიანი კი გააცუდა. ბოისას არც ერთი პერსონალური ფოლი არ მიუღია.

### ქეცბაიას პირველი სამიზნე

"ოლიმპიაკოსში" თემურ ქეცბაიას პირველი შენაძენი შესაძლოა გახდეს ინგლისელი ფორვარდი მეთ დერბიშირი. "ბლექბერნ როვერსის" 23 წლის თავდამსხმელი იანვრიდან საიჯარო კონტრაქტით იმყოფებოდა ბერძნულ გუნდში და ამ ხნის განმავლობაში 13 თამაშში 8 გოლი გაიტანა. ათენელთა 41 წლის ქართველ მწვრთნელს სურს, რომ ფეხბურთელის სრულფასოვანი ტრანსფერი განხორციელდეს. "ოლიმპიაკოსსა" და "ბლექბერნ როვერსს" შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება და შედეგი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ინგლისური მხარე თავის მოთამაშეში 3,4 მილიონ ევროს ითხოვს.

### ბეგლარიშვილი ორჰუსშია

"ფონდი არველაძის" დახმარებით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ზაქარია ბეგლარიშვილი დანიურ "ორჰუსში" წავიდა გასინჯვაზე. ბეგლარიშვილმა "ორჰუსის" ორმხრივ თამაშებშიც მოსინჯა ძალა და საქმეს კარგად გაართვა თავი. ჩაირიცხება თუ არა ბეგლარიშვილი "ორჰუსში", სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში გაირკვევა. ფონდის დახმარებით ბეგლარიშვილი ორჯერ იყო სტაჟირება-ტესტირებაზე ამსტერდამის "აიაქსში", ერთხელ კი - ენსხედეს "ტვენტეში".

### საქართველო-მოლდოვას ყაზახი მსაჯები განსჯიან

6 ივნისის ამხანაგურ მატჩს საქართველოსა და მოლდოვას ნაკრებებს შორის ყაზახ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი იქნება პაველ სალიი, ხოლო ასისტენტები - ყურბან ყურბანოვი და სერიკ შაჰასბაევი. მეოთხე მსაჯის მოვალეობას გიორგი ვადაჭკორია შეასრულებს, მსაჯთა დამკვირვებელი ავთანდილ შალამბერიძე იქნება. მატჩი 6 ივნისს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 20.00 საათზე დაიწყება.

### ნედვედი შესაძლოა დარჩეს

ტურინის იუვენტუსის 36 წლის ნახევარმცველი პაველ ნედვედი შესაძლოა კიდევ ერთი სეზონი დარჩეს ბებერ ქალბატონში . აქამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად ვეტერანი ჩეხი კარიერის დასრულებას აპირებდა, თუმცა გუშინ პაველის აგენტმა მინო რაიოლიმ განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა შესაძლოა ერთი წლით გაახანგრძლივოს კონტრაქტი ტურინულ კლუბთან. გააგრძელებს თუ არა ის თამაშს? არაფერია გამორიცხული, მაგრამ ეს საკითხი იუვენტუსის გადასაწყვეტია , - ამბობს რაიოლი. იუვენტუსს ჯერ არ დაუსახელებია ჩეხი ფეხბურთელის გამოსათხოვარი მატჩის ჩატარების თარიღი.

### რომში სპალეტის პასუხს ელიან

რომას ხელმძღვანელებმა ბრუნო კონტიმ და დანიელე პრადემ გუნდის მთავარ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის სთხოვეს, რომ დროზე მიიღოს გადაწყვეტილება და კლუბის მესვეურებს შეატყობინოს, აპირებს თუ არა რომაში დარჩენას. სპალეტის კონკრეტული დროც დაუთქვეს. მწვრთნელმა საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ კლუბს სამშაბათამდე უნდა აცნობოს.

კონტის და პრადეს სურთ, რომ სპალეტიმ გუნდთან მუშაობა გააგრძელოს. თუმცა, სპალეტისგან კონკრეტული პოზიციის გამოხატვას მოითხოვენ, რათა სეზონებს შორის გეგმა შეადგინონ.

## ამერიკელებმა "სანდერლენდიც" იყიდეს

სულ უფრო ბევრი ინგლისური კლუბი გადადის უცხოელების ხელში. ალბათ არ ღირს იმ გუნდების ჩამოთვლა, რომელთა მფლობელები ბოლო წლების განმავლობაში არაბრიტანელი ბიზნესმენები გახდნენ. თავიდან ძირითადად საუკეთესო გუნდებს ყიდულობდნენ, ახლა კი უცხოელი ინვესტორები საშუალო დონის კლუბებს დაერივნენ - სხვა რა გზა აქვთ, ბობოლები უკვე გაყიდულია. ცნობილი გახდა, რომ ამერიკელი ბიზნესმენი ელის შორტი ინგლისის პრემიერლიგის კლუბ სანდერლენდის აქციების 100 პროცენტის მფლობელი გახდა.

შორტი, რომელიც დალასური კომპანიის Lone Star Funds-ის თანადამფუძნებელია, აქამდე აქციების 30 პროცენტს ფლობდა. ამის თაობაზე სანდერლენდის პრეზიდენტმა ნილ ქუინმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი განცხადება გაავრცელა: სანდერლენდისთვის ეს ფანტასტიკური სიახლეა. ელისს ჩვენი კლუბის შეძენის დიდი სურვილი ჰქონდა. ეს გუნდისთვის ახალი ერის დასაწყისია. მისი მოსვლის შემდეგ შევინარჩუნებთ კენვაინ ჯონსს, რომლის სანაცვლოდ ტოტენჰემი 20 მილიონ ფუნტს გვთავაზობდა .

## რობერტო კარლოსმა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა

ვეტერანმა ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა, რომელიც ახლა თურქულ ფენერბახჩეში თამაშობს, დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას ბრაზილიაში დაბრუნებისა და კარიერის იქ გაგრძელების საშუალება ჰქონდა. "ბრაზილიიდან რამდენიმე კლუბი დამიკავშირდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ "ფლუმინენსეს" მესვეურები, რომლებიც კარგ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ სერიოზული განსჯის შემდეგ თურქეთში დარჩენა ვამჯობინე. ბრაზილიაში თამაშის შანსი მომავალში კიდევ მომეცემა. მანამდე კი ერთ სეზონს ისევ "ფენერბახჩეს" შემადგენლობაში გავატარებ და ამ გუნდთან დადებული კონტრაქტის პირობებს ბოლომდე შევასრულებ", - აღნიშნა რობერტო კარლოსმა.

## ვან ნისტელროი ვარჯიშს განაახლებს

რეალის ჰოლანდიელი ვარსკვლავი რუუდ ვან ნისტელროი აპირებს მომავალი სეზონისთვის მთლიანად აღიდგინოს საფეხბურთო კონდიციები. 32 წლის ჰოლანდიელს კარგა ხანია არ უთამაშია - უკვე შვიდი თვეა ის ოპერაციის შემდგომ სარეაბილიტაციო კურსს გადის. "გუნდი წინასასეზონო მზადებას ივლისის შუა რიცხვებიდან შეუდგება. მე კი მომავალი კვირიდან მსუბუქ გარბენებს დავიწყებ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, გუნდს აგვისტოს პირველი რიცხვებიდან შევუერთდები. თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ექიმებიც მაიმედებენ, რომ სეზონის დასაწყისისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები", - თქვა ჰოლანდიელმა ფორვარდმა. რა თქმა უნდა, ზაფხულში ვან ნისტელროი შეძლებს ფორმის აღდგენას, თუმცა დარჩება თუ არა რეალში , ეს უკვე სხვა საქმეა. თუ სამეფო კლუბის საპრეზიდენტო არჩევნებს ფლორენტინო პერესი მოიგებს (ეს კი თითქმის გადაწყვეტილია), ვან ნისტელროის, რეალის დანარჩენ ჰოლანდიელებთან ერთად, ახალი კლუბის მოძებნა დასჭირდება. პერესმა განაცხადა, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში რეალიდან ჰოლანდიელებს გაუშვებს.

## "მილანმა" ტონის დაადგა თვალი

იტალიის ნაკრების 32 წლის ფორვარდი ლუკა ტონი, რომელმაც ბოლო ორი სეზონი გერმანულ ბაიერნში გაატარა, შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და მილანში ჩაირიცხოს. ამის შესახებ ინფორმაციას იტალიური მედია ავრცელებს.

"როსონერის" ტექნიკური დირექტორი არიედო ბრაიდა უახლოეს დღეებში გერმანიაში ჩასვლას და ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყოლიებას აპირებს. სამშობლოში დაბრუნების სურვილი ბოლო პერიოდში თვითონ ტონიმაც არაერთხელ გამოთქვა, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად მოეწონება მას "მილანის" მიერ შეთავაზებული კონტრაქტის პირობები.

## სისე "მარსელში" დაბრუნდა

ინგლისში გატარებული რამდენიმე წარუმატებელი სეზონის შემდეგ ჯიბრილ სისემ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მომავალი სეზონიდან ის მარსელის ღირსებას დაიცავს.

# პეპ გვარდიოლა: ამაზე მეტს ვერასოდეს გავაკეთებ



*"ბარსელონა" ევროპის საკლუბო ჩემპიონია*

სამი ტიტული რვა თვეში - ასეთია პეპ გვარდიოლას სადებიუტო სეზონის შედეგი, რომლის გამეორება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. ალბათ სწორედ ამიტომ იხუმრა კატალონიელთა მწვრთნელმა ფინალური მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე: ხვალვე გადავდგები. აბა, ამაზე მეტი რაღა უნდა ვქნაო. თუმცა პეპს ჯერ ყველაფერი წინ აქვს. ვინ იცის, ის, რაც წლეულს სერ ალექსმა ვერ მოახერხა, იქნებ მომავალ სეზონში გვარდიოლამ გააკეთოს და ბარსასთან ერთად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული შეინარჩუნოს.

კატალონიურმა გრანდმა პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე. ფინალური მატჩი შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: პირველი ათი წუთი, როდესაც ფეხბურთს ორივე გუნდი თამაშობდა, უფრო მეტად მანჩესტერი და დარჩენილი 80 წუთი, როდესაც რომის ოლიმპიურ სტადიონზე ფეხბურთს ერთი გუნდი - ბარსელონა თამაშობდა, მანკუნიანელები კი წვალობდნენ.

სერ ალექსმა მატჩის შემდეგ თქვა, პირველმა გოლმა წელში გაგვტეხაო და ეს მართლაც ასე იყო. თუმცა საუბარია მანჩესტერ იუნაიტედზე . სწრაფმა გოლმა შეიძლება ჰალი ან უიგანი გატეხოს, ხოლო გუნდი, რომელიც ევროპის საკლუბო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, არ უნდა ტყდებოდეს, ფარ-ხმალს არ უნდა ყრიდეს და ამის მაგალითი თავად მანჩესტერმა მოგვცა, როდესაც 1999 წელს ნოუ კამპზე მატჩის ბოლო ორ წუთში მოუგო ბაიერნს . თავად თამაშზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ მატჩის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებს გაგაცნობთ.

**ხოსეპ გვარდიოლა ( ბარსელონას მთავარი მწვრთნელი):** ხვალვე დავტოვებ თანამდებობას. ამაზე მეტს ვერასდროს ვერ გავაკეთებ გახარებული და ბედნიერი ვარ. ვხვდებით, რომ რაღაც განსაკუთრებული შევძელით. ვულოცავ კლუბს და ჩვენს გულშემატკივარს. ჩვენ არ ვართ ბარსელონას ისტორიაში საუკეთესო გუნდი. უბრალოდ, საუკეთესო სეზონი გვქონდა. მოვიგეთ სამი ტიტული. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მოვიგეთ ეს ჯილდოები. ძალიან სასიამოვნოა ჩემპიონთა თასის მოგება პირველად მწვრთნელის რანგში. ახლა ეს პრესტიჟული თასი სამჯერ გვაქვს მოგებული. ეს არც ისე ბევრია, მაგრამ ამ მოგებით კიდევ უფრო მივუახლოვდით რჩეულებს, მითიურ გრანდებს. არაერთხელ მითქვამს, რომ გაგვიმართლა. ჩვენ კრუიფისა და რეკსაჩის მემკვიდრეები ვართ. ისინი არიან მამები და ჩვენ მათ მიერ გაკვალულ გზას მივყვებით.

არ ველოდით, რომ მანჩესტერი ასეთი აქტიური პრესინგით დაიწყებდა თამაშს. უნდა ვაღიარო, რომ პირველ ათ წუთში მანკუნიანელებს გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდათ - კრიშტიანუ რონალდუს მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ. ჩვენ კი პირველივე შესაძლებლობა გოლად ვაქციეთ. ამის შემდეგ ცენტრში ბურთზე კონტროლი დავაწესეთ. გასულ სეზონში, ნახევარფინალში, მესის ევრას წინააღმდეგ თამაში არ გამოუვიდა. ამიტომ ამჯერად ის მინდვრის ცენტრში გადმოვწიეთ და ნახევარდაცვაში ერთი ზედმეტი ფეხბურთელი მივიღეთ. დღეს ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. დღეს მან საკუთარი სახელი დატოვა ოქროს ბურთზე .

ახლა მთავარია ემოციები მოვთოკო. სასწაული შევძელით. ჩვენ საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, თუმცა ყველაფერი კარგად გამოგვივიდა. მომეცით რამდენიმე დღე და მომავალ გეგმებზე შემდეგ ვისაუბრებ. მინდა, რომ გუნდმა ისევ აჩვენოს ლამაზი ფეხბურთი და მომავალ სეზონში ისევ ფინალში ვითამაშოთ. რა თქმა უნდა, შეიძლება ცუდად ითამაშო და მაინც მოიგო, მაგრამ თუ გაბედავ და შემტევ ფეხბურთს ითამაშებ, მოგების შანსი გაცილებით დიდია. არაფერია იმაზე ცუდი, როდესაც გარისკვის გეშინია. ხვალ ამ გამარჯვებას მთელ კატალონიასთან ერთად აღვნიშნავთ.

**სერ ალექს ფერგიუსონი ( მანჩესტერის მთავარი მწვრთნელი):** იმედგაცრუებული ვარ ჩემი გუნდის თამაშით და ზოგიერთები ამას ძალიან მალე იგრძნობენ საკუთარ თავზე. ამ სეზონში საუკეთესო ფეხბურთს მაშინ ვაჩვენებდით, როდესაც საიმედოდ ვთამაშობდით დაცვაში, დღეს კი ჩვენი დაცვა კრიტიკას ვერ უძლებს. კერძოდ, პირველი გოლის დროს დაცვამ საშინლად ითამაშა და ამ გოლმა თამაში მთლიანად შეცვალა. ნამდვილად არ ვაპირებდით სწრაფი გოლის გაშვებას. ცხადია, არ მინდა ბარსელონას წარმატება დავაკნინო - გაიმარჯვა უძლიერესმა. მშვენივრად ვიცოდი, რომ თუ ბარსელონა დაწინაურდებოდა, ანგარიშში შემდეგ გაგვიჭირდებოდა. ამ გუნდს ბურთის კონტროლის საოცარი ნიჭი აქვს. პირველი გოლის შემდეგ მეტოქის ნახევარდაცვამ ბურთი აღარ მოგვცა.

ფინალამდე დიდი შრომა გავწიეთ. გვინდოდა დაგვერღვია ტრადიცია და თასი შეგვენარჩუნებინა, მაგრამ ბარსელონამ ამის საშუალება არ მოგვცა. გოლის შემდეგ მესიმ ნახევარდაცვაში გადაინაცვლა და უამრავი პრობლემა შეგვიქმნა. ბარსა ფანტასტიკური გუნდია. რაც მთავარია, ეს არის გუნდი, რომელიც უარს არ ამბობს საკუთარ საფეხბურთო ფილოსოფიაზე და ეს დასაფასებელია.

ის, რასაც გვარდიოლამ მიაღწია, ფანტასტიკაა. ვულოცავ და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებ. მას ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს. ისინი გადიან მინდორზე და თამაშით სიამოვნებას იღებენ. არასდროს დამეზარება ასეთი გუნდის მიმართ კომპლიმენტების თქმა.

**კარლეს პუიოლი ( ბარსელონას კაპიტანი):** ეს იყო ისტორიული სეზონი. ახლა შეგვიძლია გამარჯვებით დავტკბეთ. ვფიქრობ იმ ხალხზე, რომელმაც დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ ჩვენ აქამდე მოვსულიყავით. მინდა ეს გამარჯვება სწორედ მათ მივუძღვნა - ბარსას ფანებს, ჩემი ოჯახის წევრებს და იმ ადამიანებს, რომლებმაც კლუბში მომიყვანეს. მანჩესტერი უდიდესი კლუბია, რომელიც დღეს მეორე დიდ კლუბს დაუპირისპირდა. ვიცოდით, რომ გამარჯვებისთვის უნდა გვებრძოლა .

**სამუელ ეტო`ო ( ბარსელონას ფორვარდი):** ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ და მატჩს სრულად ვაკონტროლებდით. ვფიქრობ, მეტოქისთვის დიდი სიურპრიზი იყო, როდესაც მესი მოედნის ცენტრში დაინახეს. იმედია, ჩვენი გულშემატკივარი ამ გამარჯვებას ჯეროვნად აღნიშნავს.

**დანი ალვეში ( ბარსელონას მცველი):** ეს ისტორიული გამარჯვებაა. უკვე მესამე ტიტული მოვიგეთ. მთავარია, რომ შედეგის მისაღწევად ჩვენს საფეხბურთო ფილოსოფიას არ ვღალატობთ და ვინც არ უნდა იყოს ჩვენი მეტოქე, იმ ფეხბურთს ვთამაშობთ, რომელიც გვჩვევია. ჩვენი თამაშის სტილი ძალიან საინტერესოა. დღეს პირველ რიგში ფეხბურთმა გაიმარჯვა .

# მთავარი ქართველი როკერი

მესამე სეზონია გიორგი ცინცაძე ესტონურ როკში თამაშობს. ბუმ უკვე მოიპოვა როკერთა ლიდერის სტატუსი და ტარტუელთა წლევანდელ წარმატებებში სწორედ ქართველ უკანახაზელს მიუღვის ლომის წილი. როკმა ბალტიის ლიგის გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავა, ახლა კი ესტონეთის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის. ფინალურ სერიაში, რომელშიც როკი კალევს ხვდება, ანგარიში საყაიმოა - 2:2 და საკუთარი მოედნის უპირატესობას როკერები ფლობენ.

დღეს ტარტუში ფინალური სერიის მეხუთე მატჩი უნდა გაიმართოს, თუმცა გიორგიმ მოიცალა და საკალათბურთო ვებგვერდის Eurobasket-ის ჟურნალისტთან ისაუბრა. Eurobasket ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული ინტერნეტგამოცემაა, რომელიც კალათბურთს აშუქებს.



ეტოქის ფარს გიორგი ცინცაძე უტევს

**- გიორგი, პირველ რიგში დიდ მადლობას გიხდით, რომ ჩვენთან საუბრის დრო გამონახეთ. მართლაც ჩინებული სეზონი გამოგივიდათ: ბალტიის ლიგაში ოთხთა ფინალში ითამაშეთ, ესტონეთის ჩემპიონატში კი ფინალურ სერიაში გამარჯვების არცთუ ცუდი შანსი გაქვთ. თავად როგორ აფასებთ თქვენს მესამე და წარმატებულ სეზონს როკის შემადგენლობაში?**

- პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ სეზონი ძალიან დატვირთული გამოვიდა. თუ არ ვცდები, სარეკორდო რაოდენობის მატჩები გავმართეთ და მთავარი ბრძოლა წინ გველის. იმედი მაქვს, ფინალურ სერიას ჩვენს სასარგებლოდ დავასრულებთ. არც ბალტიის ლიგაში ნაჩვენები შედეგით ვარ უკმაყოფილო. ასეთ ტურნირში მესამე ადგილის დაკავება ნამდვილად არ არის ურიგო.

**- თუ შეიძლება, შეადარეთ ესტონეთისა და საქართველოს ჩემპიონატები. თქვენ რუსეთშიც გითამაშიათ და ესტონური და რუსული ჩემპიონატიც შეადარეთ.**

- ესტონეთის ჩემპიონატი ყოველწლიურად უფრო ძლიერი და საინტერესო ხდება. აქ არის რამდენიმე ძლიერი გუნდი, თუმცა, რა თქმა უნდა, ესტონეთის ჩემპიონატის შედარება რუსეთის ჩემპიონატთან არ შეიძლება. იქ დიდი ფული ტრიალებს. რაც შეეხება საქართველოს, უამრავი ნიჭიერი კალათბურთელი გვყავს, თუმცა პრობლემებიც თავსაყრელად არის.

**- შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს თქვენი პროგრესი. პირველ ესტონურ სეზონთან შედარებით უკვე გუნდის ლიდერად იქეცით. სტატისტიკას თავი დავანებოთ, გადამწყვეტ მომენტებში სწორედ თქვენ იღებთ საკუთარ თავზე თამაშს. გრძნობთ თუ არა, რომ ლიდერი ხართ?**

- რა თქმა უნდა, და ამაში გასაკვირი არაფერია. როდესაც ახალგაზრდა კალათბურთელი სეზონში 60-70 მატჩს მართავს, გამოცდილება თავისთავად ემატება. ვფიქრობ, პირველ ესტონურ სეზონთან შედარებით ახლა სულ სხვა კალათბურთელი ვარ და რაღაც თვალსაზრისით პიროვნულადაც შევიცვალე.

**- ფინალურ სერიაში ანგარიში საყაიმოა. პირადად თქვენ და გუნდიც თუ აპირებთ თამაშში რაიმე სიახლის შეტანას, რაც ზედიზედ მესამედ მოგიტანდათ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს?**

- ახლა ჩემპიონობის მოგება გაცილებით ძნელი იქნება, ვიდრე ადრე. ალბათ ჩემპიონის გამოსავლენად შვიდივე მატჩის გამართვა გახდება საჭირო. რაც შეეხება ცვლილებებს, არა მგონია, ჯერჯერობით საჭირო იყოს. მე შევეცდები, მაქსიმალურად დავიხარჯო, დავეხმარო გუნდს შეტევების ორგანიზებაში და ყურადღებით ვითამაშო დაცვაში.

**- ამ სეზონში მართლაც შეუდარებელი ხართ. უკვე ითამაშეთ ბალტიის ლიგისა და ესტონეთის პირველობის ყველა ვარსკვლავი. სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- ვერაფერს გეტყვით. ჯერ ჩემპიონატი უნდა დასრულდეს. მომავალზე კი მერე ვიფიქრებ. ერთი რამ ზუსტად შემიძლია გითხრათ: რომელ გუნდშიც არ უნდა აღმოვჩნდე, სკამზე ჯდომას არ შევეგუები.

**- რუსეთში ან რომელიმე წამყვან საკალთბურთო ევროპულ ქვეყანაში გადასვლას ხომ არ აპირებთ, ან იქნება NBA-ში თამაშის სურვილი გაგიჩნდათ?**

- მაღალი დონის ჩემპიონატში გადასვლაზე უარს არ ვიტყოდი. არა აქვს მნიშვნელობა, რუსეთი იქნება ეს, ესპანეთი თუ იტალია. რაც შეეხება NBA-ს, მითხარით, რომელი კალათბურთელი არ ოცნებობს იქ თამაშზე!

**- საქართველოს ნაკრები B დივიზიონში თამაშობს. სულ მალე ნაკრებთან ერთად შესარჩევი ციკლის მატჩები გელით. ნაკრებში ბევრი ცნობილი და ძლიერი კალათბურთელია, მწვრთნელიც - NBA-ში მოღვაწე იგორ კოკოშკოვი. ალბათ მომავალ მატჩებს დიდი იმედით ხვდებით.**

- ცხადია. უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის. იმედია, ბოლოს და ბოლოს, A დივიზიონში ასვლას მოვახერხებთ. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების ადგილი სწორედ იქ არის და არა B დონეზე. თავადაც აღნიშნეთ, რომ ნიჭიერი კალათბურთელები არ გვაკლია და კოკოშკოვთან ერთად ელიტის საგზურს აუცილებლად მოვიპოვებთ.

**- რას ეტყოდით თქვენს ქომაგებს საქართველოსა და ესტონეთში?**

- მათ ყველაფერ საუკეთესოს და დიდ გამარჯვებებს ვუსურვებ.

*ინტერვიუ Eurobasket-ის რედაქციამ ასეთი სიტყვებით დაასრულა. დიდი მადლობა გიორგის, რომ მან მონახა დრო და ისაუბრა ჩვენთან. ჩვენი მხრივ, ვუსურვებთ მას წარმატებას ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში და გვჯერა, რომ უახლოეს მომავალში ის გაცილებით დიდ წარმატებებს მიაღწევს .*

# სპორტული ოსკარი ისინბაევამ მოიგო

რუსმა ჭოკით მხტომელმა, ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულმა და მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენმა ელენა ისინბაევამ მოიგო Laureus World Sports Awards-ის მიერ დაწესებული ჯილდო, ეგრეთ წოდებული სპორტული ოსკარი , რომელიც წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალს და ვაჟს გადაეცემა.

ისინბაევამ მეორედ მოიგო ეს ტიტული. სპორტული აკადემია Laureus-ის წევრებმა სწორედ ისინბაევა გამოარჩიეს. რუს ჭოკით მხტომელს 46 ექსპერტმა მისცა ხმა.

ამ ჯილდოს ისინბაევას ეცილებოდნენ ეთიოპიელი მორბენალი ტირუნეშ დიბაბა, ავსტრალიელი მოცურავე სტეფანი რაისი, მექსიკელი მეგოლფე ლორენა ოჩოა, ამერიკელი ჩოგბურთელი ვინუს უილიამსი და ამერიკელი სამთომოთხილამურე ლინდსეი ვონი.

სპორტულ აკადემიას ჯერ არ გაურკვევია, თუ ვინ მოიგებს მამაკაცების ოსკარს. პრეტენდენტები კი საკმაოდ არიან. ოსკარის მოგების რეალური შანსი აქვთ: იამაიკელ მორბენალს უსეინ ბოლტს, ბრიტანელ ავტომრბოლელს ლუის ჰამილტონს, მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ესპანელ რაფაელ ნადალს, მანჩესტერის პორტუგალიელ ვარსკვლავს კრიშტიანუ რონალდუს, ამერიკელ მოცურავეს მაიკლ ფელპსს და იტალიელ მოტომრბოლელს ვალენტინო როსის.

ფინანსური კრიზისის გამო Laureus World Sports Awards-მა უარი თქვა საზეიმო ცერემონიალის მოწყობაზე და პრიზებს მოკრძალებულ ვითარებაში გადასცემს თავის მფლობელებს.

# თსუ ქუჩის კალათბურთში საუკეთესოა

27 მაისს უნივერსიადა 2009 -ს ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებებზე შავი ზღვის უნივერსიტეტის ეზოში ჩატარდა ქუჩის კალათბურთის - სტრიტბოლის ტურნირი, რომელშიც ათი უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა იასპარეზა.

ტურნირის გამარჯვებული გახდა თსუ-ს გუნდი, რომელმაც ფინალში ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი - 11:3 დაამარცხა. გამარჯვებულები საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლოზ ამაშუკელმა დააჯილდოვა.

ტურნირის მონაწილეები ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. ჯგუფური ეტაპის თამაშების შემდეგ გუნდები ასე დალაგდნენ:

ა ჯგუფი - 1. თსუ, 2. სტუ, 3. თავისუფალი, 4. საავიაციო, 5. სამხატვრო.

ბ ჯგუფი - 1. ჭავჭავაძე, 2. სასოფლო, 3. IBSU, 4. საქართველო, 5. სამედიცინო.

ნახევარფინალში თსუ-მ აგრარული 12:9 დაამარცხა, ხოლო ჭავჭავაძემ სტუ-ს 11:3 აჯობა. მესამე ადგილისთვის მატჩში სასოფლო სტუ-ზე ძლიერი გამოდგა - 12:11, ფინალი კი თსუ-მ, სტრიტბოლის წესების თანახმად, ორიოდე წუთში მოუგო მეტოქეს, რაკი 8-ბურთიანი სხვაობით დაწინაურდა.

ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ცნეს აგრარული უნივერსიტეტის მოთამაშე გიორგი ხანიაშვილი.

## კვალიარელას ნეაპოლისკენ მიუწევს გული

იტალიური უდინეზეს პრეზიდენტი ჯამპაოლო პოცო იუწყება, რომ გუნდის წამყვან თავდამსხმელ ფაბიო კვალიარელას ნაპოლიში სურს კარიერის გაგრძელება. უდინეზეს კლუბის მფლობელმა ცოტა ხნის წინ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფეხბურთელი, სავარაუდოდ, ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე შეიცვლის კლუბს. კერძოდ, ფორვარდით იუვენტუსი , ნაპოლი და რამდენიმე გერმანული კლუბი დაინტერესდნენ. თავად კვალიარელას კი მშობლიურ ნეაპოლში სურს კარიერის გაგრძელება. მართალია, რომ ჩვენ კონტაქტი გვაქვს ნაპოლისთან . აგრეთვე კვალიარელათი იუვენტუსი და ბაიერნიც არიან დაინტერესებული. მაგრამ ნეაპოლელებთან მოლაპარაკება ჩინებულად მიდის. მოხარული ვიქნები, თუ ამ მიმართულებით სვლას გავაგრძელებთ , - ამბობს პოცო Radio Kiss Kiss-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

## ახალი კონტრაქტი ჰანგელანს

"ფულჰემმა " ნორვეგიელ მცველს ბრედე ჰანგელანს, რომელმაც მიმდინარე სეზონში კარგი თამაშით გრანდების ყურადღება მიიპყრო, ახალი კონტრაქტი შესთავაზა, - განაცხადა როი ჯონსონმა, - მოქმედი კონტრაქტის თანახმად, ბრედეს ფულჰემში კიდევ ორი წელი დარჩა სათამაშო. ამიტომ საპანიკო არაფერია. მას ახალი კონტრაქტი შევთავაზეთ და იმედი მაქვს, შეთანხმებასაც მივაღწევთ, - აღნიშნა მან.

## მაგათმა ნოიერი არ დათმო

მიუნხენის ბაიერნს მეკარის სერიოზული პრობლემა აქვს. რეკორდმაისტერებმა შალკეს მეკარეზე მანუელ ნოიერზე შეაჩერეს არჩევანი და შესაძლოა გადაებირებინათ კიდეც, მაგრამ გელზენკირხენელთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ნოიერის ტრანსფერს ვეტო დაადო. ის სუპერმეკარეა და ჩვენ თავად გვჭირდება, - თქვა მაგათმა. ასე რომ, ბაიერნს ახალი მეკარის ძიება მოუწევს.

## ფლორესი ˝ბენფიკას˝ მწვრთნელად დარჩა

პორტუგალიის ბენფიკას მთავარი მწვრთნელი კიკე ფლორესი, კლუბის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნებს დაკავებულ თანამდებობას.

რამდენიმე დღეში დირექტორატის წევრები ფლორესს შეხვდებიან და მომავალი სეზონისთვის გუნდის მიზნებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავენ. ესპანელი სპეციალისტის გარდა, დაკავებულ თანამდებობას შეინარჩუნებენ კლუბის პრეზიდენტი ლუიშ ფელიპე ვიეირა და სპორტული დირექტორი რუი კოშტა, რომელთა მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა.

## გომესმა ˝ბაიერნი˝ აირჩია

ბუნდესნაკრების 23 წლის თავდამსხმელმა მარიო გომესმა ნაკრებთან ერთად აზიის ტურნეში გამგზავრების წინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომავალი სეზონიდან მიუნხენის ბაიერნის ღირსებას დაიცავს. ძალიან მიხარია, რომ ბაიერნის წევრი გავხდი, - თქვა მან, - ეს განსაკუთრებული კლუბია. მინდა, რომ მასთან ერთად მომავალ სეზონში გერმანიის პირველობა მოვიგო და ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით გამოვიდე. ვაღიარებ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ იყო. შტუტგარტში დიდებული წლები გავატარე, რის გამოც მხოლოდ მადლობა მეთქმის. გერმანული მედიის ინფორმაციით, ბაიერნს გომესის შეძენა 30 მილიონი ევრო დაუჯდება. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელსა და შტუტგარტს შორის არსებულ კონტრაქტში იყო პუნქტი, რომლის თანახმად, ზემოთ ნახსენები თანხის გადახდის შემთხვევაში გომესს ნებისმიერ სხვა კლუბში შეეძლო გადასვლა, თუმცა ჯერჯერობით მხარეები ფორვარდის სატრანსფერო თანხას არ ასახელებენ. ვარაუდობენ, რომ გომესი ბაიერნთან ოთხ ან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი წლიური ანაზღაურება ოთხი მილიონი ევრო იქნება.

## ხიმენესი ˝სევილიაში˝ კიდევ წელიწადს დაჰყოფს

ესპანურმა სევილიამ მთავარ მწვრთნელთან მანუელ ხიმენესთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა. ფეხბურთის 45 წლის სპეციალისტმა ანდალუზიური გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2007 წლის ოქტომბერში ხუანდე რამოსი შეცვალა. გასულ წელს სევილიამ მისი ხელმძღვანელობით ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილი დაიკავა, 2008-2009 წლების სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე კი გუნდმა ბრინჯაოს მედლები და ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.




დაიპყარი მწვერვალი!

გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი

$325 000

Elite Model Look Georgia 2009






Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შელანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT kikala studio MEDI ESTET მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფი 24 საათი MUSIC BOX TV COSMOPOLITAN



## დავით ტატიშვილის სამედი-ცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**



## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**


24 საათი | The New York Times (Articles selected for 24 საათი) | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

JOHN DEERE

საუკეთესო ამერიკული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა




ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი
თეგეტა მოტორსი

## განცხადება

**2009 წლის 28 მაისის 24 საათში" გაიპარა ტექნიკური შეცდომა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ, ნაცვლად ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების შესახებ განცხადებისა, გამოქვეყნებულ იქნა აზომვითი და აუდიტორული ტენდერების გამოცხადების შესახებ განცხადება.**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს
ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების
თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აზომვითი მომსახურების შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოცხადდა შემდეგი კომპანიები:

ლოტი N1-ქ. თბილისი-შპს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N138.

ლოტი N2-სამეგრელო, გურია, სვანეთი - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია- მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N139

ლოტი N3-სამცხე-ჯავახეთი - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია- მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N139

ლოტი N4-ქვემო ქართლი - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია- მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N139

ლოტი N5-შიდა ქართლი -შპს ვირტუალ სერვისი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N137

ლოტი N6-კახეთი -შპს ხორანთა +" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N136

ლოტი N8-მცხეთა-მთიანეთი - შპს ვირტუალ სერვისი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N137

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აუდიტორული მომსახურების შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოცხადდა შემდეგი კომპანიები:

ლოტი N1-ქ. თბილისი-შპს ქართული აუდიტი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N140.

ლოტი N2-სამეგრელო, გურია, სვანეთი - შპს აუდიტესკორტი"- მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

ლოტი N4-ქვემო ქართლი - შპს აუდიტესკორტი"- მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

ლოტი N5-შიდა ქართლი -შპს აუდიტესკორტი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

ლოტი N6-კახეთი -შპს აუდიტესკორტი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

ლოტი N7-რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი -შპს აუდიტესკორტი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

ლოტი N8-მცხეთა-მთიანეთი - შპს აუდიტესკორტი" - მ/წ 16 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N134

**სატენდერო კომისია**

## იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული
"დრაბილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კბ. მ-ზე
ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
877 24 44 84

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 21 მაისის გაზეთ 24 საათში" გამოქვეყნებულ N5 (ასპინძა, სოფ. ხერთვისის ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე ხერთვისი"-ს ქვიშა, ხრეშის გამოვლინება) ობიექტზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 28 მაისს გაიმართა აუქციონი, შესაბამისადAაღნიშნულ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდა.

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 29 ივნისს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. რუსთავი, XV მკრ. №13 მ/ტ. | 5237 | 02 | 03 | 02 | 532 | 50590 | 20236 | 1000 |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
